


140
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პიონერი

5
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა




სამარადისო დიდება. მხატვარი რ. სამხარაძე.

# მარადიული ცეცხლი ანუ სიმღერა უკვდავებაზე

ავთანდილ გურგენიძე



## 1. დასაწყისი

,,დასაწყისი დედამიწის
კრემლი არის,
ყველამ იცის...“
მეც კრემლიდან ვიწყებ ამბავს,
სადაც ცეცხლი ანთია,
უგზო-უკვლოდ დაკარგულთა
რაიც მისამართია...
სწორედ კრემლის კედლის ძირას,
სადაც უცნობ ვაჟკაცს სძინავს —
მილიონთა
ძმას და შვილს,
მილიონთა
სევდას,
სადაც მრავალ თმაგაშლილს
დაინახავთ დედას,
სადაც ყავარჯნიანი
სამოცი წლის ძიები
დგანან თავჩაქინდრულნი,
მიხაკებით, იებით —
ორი პიონერი,
ასე —
თქვენი კბილა,
ვნახე ამათ გვერდით
იმ ნოემბრის დილას.
ორი პიონერი
გატრუნულა წუთით,
ქერასა და შავგვრემანს
მოუხდიათ ქუდი.
დგანან პიონერები,
სადაც ცეცხლი ანთია,
უგზო-უკვლოდ დაკარგულთა
რაიც მისამართია.
რა დროს მათი დარდი არი,
რა დროს მათი ნისლებია, —
მათი ტოლა ბიჭუნები
სიხარულით ივსებიან.
ნეტა რაზე ფიქრობენ
გატრუნული ბიჭები?
დამესია ჭრელ-ჭრელი
ათასგვარი იჭვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პიონერი

5

მაისი

1975

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


## 2. პიონერი გენკა ნიკიტინი

ქერა ბიჭო,
ხორბლისფერი
ქოჩორი რომ გაგიშვია,
რას იგონებ,
ვის იგონებ,
ან რა დღეებს ქარიშხლიანს?
— მე ვარ გენკა ნიკიტინი,
ეს კი — ჩემი მეგობარი.
აქ რომ ქუდი მოეხადა, —
გადმოლახა მთა და ბარი...
მე ოცი წლის ბაბუა მყავს
უგზო-უკვლოდ დაკარგული.
მასაც გენკა ერქვა თურმე,
მასაც ჰქონდა დიდი გული.



მასაც ჰქონდა დიდი გული,
სიყვარულით ანთებული,
და ებარა იმ დიდ ომში
ჯარისკაცთა ათეული.

ერთი წელი
ცეცხლში იდგა,
ერთი წელი
ქლიტა მტერი,
მერე შეწყდა წერილები...
ვერ გაიგეს ვერაფერი.
მოკლედ, გზები მეომრისა
გამოცანად დაიქარგა —
და ბაბუა ოცი წლისა
უგზო-უკვლოდ დაიკარგა...
. . . . . . . .
დაიკარგა?
ასეთები
ხალხისთვის არ იკარგება;
მათი წმინდა სისხლისფერად
დიდი დროშა იქარგება!..

## 3. სერჟანტ ნიკიტინის სიმღერა

„... რა ცა მქონდა, —
მტრედისფერი
და რა მიწა, —
დახორბლილი,
თუ გიმღერი,
შენ გიმღერი,
ნახანძრალზე დამხობილი...
აქ ვარ,
ცაო, შებოლილო,
აქ ვარ, მიწავ, გადამწვარო,
ნისლი უნდა გაგაცალო,
ისევ უნდა აგამწვანო...
მაგრამ, ვაი, მომეწია
ურჯულოთა ერთი ტყვია,
ათასი რომ ავიცილე,
ერთმა გული გამირღვია;
ათასმა რომ ვერ დამატყო

მკერდზე კვალი და იარა,
ერთადერთმა, ერთადერთმა
ტყვიამ გულში გამიარა;
ვაი, ოცი წლისა ვარ და
სამუდამოდ ოცის ვრჩები.





ვაი, გულო, გახვრეტილო,
ვერასოდეს მომირჩები;
ვერასოდეს ამღერდები,
ვერასოდეს გამრთელდები,
ვაი, დილავ, თვალებისთვის
ვერასოდეს გათენდები...
მაგრამ მაინც გაუმარჯოს
ამ სიკვდილს და აქ დარჩენას,
სამშობლო ხომ მოესწრება
სიცოცხლეს და გამარჯვებას!..
თუ გიმღერი,
შენ გიმღერი,
ნახანძრალზე დამხობილი, —
რა ცა მქონდა, —
მტრედისფერი,
და რა მიწა, —
დახორბლილი...“

## 4. პიონერი გია ბარათელი

— შავგვრემანო ბიჭო,
აქაურს არ გავხარ.
გვიპასუხე, ვინ ხარ,
რაზე ფიქრობ ახლა?
— მე ვარ გია ბარათელი
(ჩამომართვა ბიჭმა ხელი),
ორი დღეა მოსკოვში ვარ,



გენკა არის მასპინძელი.
წითელ კვალისმაძიებელ
პიონერთა რიგებს ვერთვით;
ვერ ვიპოვეთ ბაბუები,
გავიცანით ერთმანეთი.
უგზო-უკვლოდ დაკარგული
მეც ოცი წლის ბაბუა მყავს;
ორი წელი ფარად ედგა
ამ სიცოცხლეს,
ამ ცას,
ამ ხალხს.
ორი წელი ქლიტა მტერი,
ბერლინამდე მიაღწია...
მერე, ალბათ, ცხელმა ტყვიამ
უცებ სადმე მიაწვინა.
გაცრეცილი წერილები
ჩურჩულებენ გმირის ამბავს,
ოცდაათი წლის წინანდელ
ომთან ხსოვნის ძაფებს აბამს.
. . . . . . .
დაიკარგა?
— ასეთები
ხალხისთვის არ იკარგება.
მათი საქმის უკვდავება
სიმღერებად იქარგება!..

## 5. ჯარისკაც ბარათელის სიმღერა

„...აქაც შენი სუნთქვა მესმის,
მხარზე შენი ხელი მადევს,
შენ რომ გვერდში არ მყოლოდი,
ვერ შევძლებდი, ალბათ, ამდენს...



აქაც შენი ლექსი მესმის —
ვეფხის ტყავზე დაწერილი,
ნატყვიარი არის, ეს თუ
ყაყაჩოა დაფერილი?
რაა ოცი გაზაფხული,
რაა ოცი შემოდგომა!...
მაგრამ ომის ქარიშხალმა
თმებში უკვე შემოთოვა;
ფიფქთან ერთად ტყვიაც თოვდა,
ერთი გულში შემატოვა...
ფიცი როდი გამიტეხავს,
გზებზე როდი გაგიმრუდდი,
მაგრამ მაინც,
რომ მინდოდა —
ისე ვეღარ დაგიბრუნდი.
აქაც შენი ალაზანი,
შენი მტკვარი მედგა თვალწინ,
აქაც შენი
ნისლი მბურავს,
აქაც შენი
წვიმა მაწვიმს.
ეს სიმღერა აქ მოფრენილ
შენს შავ მერცხალს დავაბარე, —
თუ მიპოვო, ერთი მუჭა
შენი მიწა დამაფარე...
მე რა მიჭირს, ოღონდ შენი
ზვრები ვერვინ გადათელოს —
ჩემო ცაო,
ჩემო მიწავ,
ჩემო დედავ —
საქართველოვ!
...შენ რომ გვერდში არ მყოლოდი,
ვერ შევძლებდი, ალბათ, ამდენს, —
აქაც შენი სუნთქვა მესმის,
მხარზე შენი ხელი მადევს..."

## 6. უკვდავება

კრემლის მტკიცე კედლის ძირას,
სადაც უცნობ ვაჟკაცს სძინავს, —
მილიონთა ძმას და შვილს,
მილიონთა სევდას,
სადაც მრავალ თმაგაშლილს
დაინახავთ დედას,
სადაც მარადიულ ცეცხლს
გარეშემო უვლიან,
სადაც უცნობ ჯარისკაცის
დამარხული გულია, —
ორი პიონერი
გატრუნულა წუთით,
ქერასა და
შავგვრემანს
მოუხდიათ ქუდი.
ფიქრი ორთავესი
ძვირფას სიტყვებს აქსოვს:
„არ ვივიწყებთ არვის,
ყველაფერი გვახსოვს..."
ეს კი საჭიროა,
საჭიროა დიდად, —
თუ მშვიდობა გვინდა,
თუ სიცოცხლე გვინდა;
ეს კი ლამაზია,
ლამაზია, რადგან —
თავზე მეგობრობის
ცისარტყელა გვადგას;
ხოლო ცისარტყელაზე
ჩვენს გულებს რომ ერთვის,
აზრი მარადიული
ცეცხლით დაიქარგება:
„არ არსებობს უცნობი
ჯარისკაცი ჩვენთვის
და არც უგზო-უკვლოდ
არვინ არ იკარგება!.."

რადგან:
მარადიული ცეცხლი,
მარადიული სუნთქვა,
მარადიული ფიცი
მიტანილია გულთან!...

რადგან:
უძლეველია დროშა
უძვირფასესი ხალხის,
ვერავითარი ძალა
ამ დროშას ძირს ვერ დახრის!...

რადგან:
ამოვსებულა სული
აბრიალებულ მზითა
და მივაბიჯებთ მწყობრად
მამა-პაპათა გზითა!...

რადგან:
ჩაუქრობელი ცეცხლი,
გაზაფხულური სუნთქვა,
გაუტეხელი ფიცი
მიტანილია გულთან!..

მხატვარი
იოსებ სამსონაძე.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა



# მელიტონ ქანთარია

მელიტონ ქანთარია დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. 1940 წელს საბჭოთა არმიაში გაიწვიეს და ომის დაწყებისთანავე მოუხდა მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმა. 1941 წლის 10 აგვისტოს ქ. სმოლენსკში დაიჭრა. განკურნების შემდეგ კვლავ ფრონტს მიაშურა. მონაწილეობა მიიღო სმოლენსკის ოლქის, ლატვიის, ბელორუსიის, პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ბერლინისათვის ბრძოლების გადამწყვეტ დღეებში თავი გამოიჩინა მსროლელმა პოლკმა, რომელშიც ირიცხებოდა მელიტონ ქანთარია. პოლკის ქვეგანაყოფები გააფთრებული ბრძოლით უახლოვდებოდნენ რაიხსტაგს.

ჯერ კიდევ საარტილერიო მომზადების დამთავრებამდე გადავიდა სამი ათასეული გადამწყვეტ იერიშზე. პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ზინჩენკომ სერჟანტ ეგოროვსა და უმცროს სერჟანტ ქანთარიას გადასცა ფრონტის სარდლობის ბრძანება, აღემართათ გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე. დავალების შესრულების წინ მათ დატოვეს ასეთი შინაარსის განცხადება: „თუ დავიღუპეთ, გთხოვთ ჩაგვთვალოთ კომუნისტებად“.

ეგოროვი და ქანთარია წითელი დროშით ხელში მუცელზე ხოხვით გაემართნენ რაიხსტაგისაკენ. მტერმა გრიგალისებური ცეცხლი გახსნა. ორმა უშიშარმა მებრძოლმა დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ მიაღწია რაიხსტაგამდე და მის ცენტრალურ შესასვლელში ბრძოლით შეიჭრა. მათ ხელყუმბარების აფეთქებით თავზარი დასცეს რაიხსტაგის დამცველებს, მწყობრიდან გამოიყვანეს ისინი და ავიდნენ მეორე სართულზე, გაანადგურეს მტრის მეავტომატეები, მოხსნეს დროშას საფარი და გაღებულ ფანჯარაში გამოფინეს.

წითელი დროშის აფრიალებისთანავე საბჭოთა ათასეულები „ვაშას“ ძახილით გადავიდნენ იერიშზე. ქანთარია და ეგოროვი ადიოდნენ სულ მაღლა და მაღლა, დროშა კი დროებით დატოვეს მეორე სართულზე, რათა ჯერ გერმანელებისაგან გაეწმინდათ კიბეები და გზა გაეხსნათ სახურავისაკენ, ხოლო შემდეგ აღემართათ იგი რაიხსტაგის გუმბათზე. ისინი ავტომატის ცეცხლით სპობდნენ შენობის კიბეების დამცველ ფაშისტებს. ამასობაში რაიხსტაგში შეიჭრა ერთ-ერთი ჩვენი ათასეული. ეგოროვმა და ქანთარიამ დაატყვევეს კიბეებს ამოფარებული უკანასკნელი დამცველები, სწრაფად ჩამოვიდნენ მეორე სართულზე და წითელი დროშით გაემართნენ მაღლა, გუმბათისაკენ. მათ ირგვლივ სკდებოდა ყუმბარები. დროშა ოთხ ადგილას გახვრიტეს ნამსხვრევებმა. 1945 წლის 30 აპრილს, 14 საათსა და 25 წუთზე, გაბედულმა მზვერავმა სერჟანტებმა ეგოროვმა და ქანთარიამ რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების საბჭოთა დროშაააფრიალეს.

ეს იყო მთელ ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების სიმბოლო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 8 მაისის ბრძანებულებით სერჟანტ მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ამ ჩანაწერებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: არ დაუკარგოს ქვეყანას მათი სახელი, ვინც დიდი გაჭირვების დროს სამშობლოს კაცურად გამოადგა და თავისი კარგი შვილობა დაუმტკიცა. უფრო მეტიც — ბევრ მათგანს ახლა სამუდამო ძილით სძინავს სახელიან თუ უსახელო საფლავში... ზოგიც უამბოდ დაიკარგა და შეიძლება ეს უფრო მწარე იყო მათთვის, ვიდრე ბრძოლის ველზე სიკვდილი.

აქ მოხსენებული მეომრებიდან ბევრი გადაურჩა ომის ქარცეცხლს და თავის ძველ კერას დაუბრუნდა. მე პირადად შევხვედრივარ ფრონტზე ამ კარგ ქართველებს, მინახავს ისინი ბრძოლაში მიმავალნი, მინახავს ბრძოლიდან დაბრუნებულნი, დამარცხებულნი თუ გამარჯვებულნი, დაჭრილნი თუ მომაკვდავნი და ათრთოლებული ხელით ჩამიწერია მათი სახელი და გვარი, მათი იმდღევანდელი ბრძოლის ამბავი.

და თუ ამ ჩანაწერებს ალაგ-ალაგ გამოჰყვა აწეული კილო, ეს იმ ქარიშხლიანი დღეების მონაბერია. ეს მაშინ აუცილებელზე აუცილებელი იყო, რადგან ეს წერილები საფრონტო გაზეთებში იბეჭდებოდა და ამ კილოს თვითონ დრო, — ის წუთი და საათი მოითხოვდა. გულზე მობჯენილ ლულას ელვისებურად უნდა აუკრა ხელი, აქ ფიქრი და ყოყმანი არ შეიძლება. ეს იყო ჩვენი ფრონტული სიტყვის პათოსი. ამ სიტყვას ჯარისკაცის თვალში უნდა გაექარწყლებინა ლეგენდა გერმანული იარაღის უძლეველობაზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# აეხანაში

მესანგრე დომუზაშვილს დაავალეს, — ნაშუაღამევს ოთხი ჯარისკაცი ნავში ჩაესხა და გაღმა გაეყვანა.

გაღმა მტერი იყო. სადივერსიო ჯგუფს გერმანელთა დოტი უნდა აეფეთქებინა და გათენებამდე უკანვე დაბრუნებულიყო.

ეს არ იყო ადვილი საქმე. უპირველეს ყოვლისა, ადვილი არ იყო მდინარეზე გადასვლა.

არამც თუ ღამეულად, მესანგრეებს დღისითაც უჭირდათ თერგის ჭორომებთან ბრძოლა და გამკლავება. გაზაფხულზე პატარა სოფელ ჩერმეზთან თერგი მეტისმეტად ბობოქარი და ხიფათიანი იყო. მსუბუქი, სადესანტო ნავის გადაბრუნებას რა დიდი დავიდარაბა უნდოდა, მეტადრე ამ უკუნეთში, სადაც არავითარი ანგარიშის დაჭერა არ შეგეძლო. კაცმა არ იცოდა, სად რას შეგახეთქებდა გადარეული წყალი, ან უფრო უარესი, — ისეთ ადგილას გამოგრიყავდა, მტერი დაბარებულივით დაგხვდებოდა ნაპირზე.

დომუზაშვილმა ერთი რამ მაინც გააკეთა. ნაშუადღევს მეთაურს დაეთხოვა და სანამ კარგად არ დაღამდა, მდინარეს არ მოშორებია. ხან ქვას ამოეფარა, ხან კიდევ ბუჩქნარში გაძვრა-გამოძვრა და წყალგაღმა ისეთი ადგილი შეარჩია, რომ ჯარისკაცები ნავიდან ხმელეთზე სწრაფად გადასულიყვნენ. დაყოვნება, წყალში ხტომა და ფართხალი, რა თქმა უნდა, ქართველ მეომრებს სიკეთეს არ მოუტანდა. ამას წინათ ასე დაიღუპა ერთი ქართველი ჯარისკაცი, გვარად ჰუმბურიძე*.

ღამეული დესანტის დროს ტივი წყალში შეჭრილ კლდეს დაეჯახა, ზარბაზანი მდინარეში გადავარდა და ის ბიჭიც თან გადაიყოლა ალრიალებულ ტალღებში. ეცადეს, მაგრამ ვერ უშველეს. ეს იცოდა დომუზაშ-

---

* საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის ყოფილი თანამშრომლის, შალვა ჰუმბურიძის ვაჟი.



ვილმა. ამიტომ მოძებნა მისადგომად მოხერხებული ადგილი. დაღამებისას ნავი საფარიდან გამოაცურა და მეთაურს აცნობა, მზად ვარო. დათქმულ საათზე ჯარისკაცებიც მოვიდნენ და ნავში ჩუმად ჩალაგდნენ.

უმთვარო ღამე იყო, მდინარე არა ჩანდა, ისმოდა მხოლოდ ცოფიანი ჩქერების ხმაური. ეს უჩინარი ხმაური ფრიად არასასიამოვნო გრძნობას ჰბადებდა კაცის გულში, მაგრამ ყველანი მალე დაწყნარდნენ, როცა დაინახეს, რომ ნავს გამოცდილი ხელი მართავდა. მართლაც, იმ დღეს დომუზაშვილმა გულმოდგინედ შეისწავლა ამ გადასასვლელის ავანჩავანი — სად რა სიძლიერის ჩქერი იყო, სად უფრო მშვიდი წყალი და ახლა თამამად, ყოველგვარი ჯახირისა და ფუსფუსის გარეშე, ნავი ტალღაზე შეაგდო და საჭეს მიუჯდა. ამ წუთიდან ყველაფერი ამ საჭეზე იყო დამოკიდებული. ერთი არასწორი მოძრაობა, არაზუსტი მიბრუნ-მობრუნება და... შეიძლება ყველაფერი გათავდეს.

რა გასაოცარი ალღო (და არა მარტო გამოცდილება) უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ახლა ამ წყვდიადში არაფერი შეშლოდა. ნაგაზები რომ მოაწყდებიან ფარეხის ღობეს, ისე გაცოფებული აწყდებოდნენ ვეება ტალღები დომუზაშვილის პატარა „ხომალდს“.

მისმა ნავმა მხოლოდ ერთხელ დალია წყალი, ისიც ერთ-ერთი ჯარისკაცის, გიორგი ჭეიშვილის ბრალი იყო. გიორგის უცაბედად მუზარადი წყალში გადაუვარდა. მერე რა მოხდა, რომ გადაუვარდა! ჯანდაბას მისი თავი! მაგრამ ჭეიშვილი რატომღაც დააფეთა ამ ამბავმა, ის მთელი ძალით მიაწყდა ნავის კიდეს, იქნებ მუზარადი დავიჭიროო... და ნავი კინაღამ გადააბრუნა.

— ჩქარა ვედრო! — დაიძახა დომუზაშვილმა.

ნავში ჩასული წყალი თვალისწამში გადაღვარეს და ყველაფერი ისევ მოწესრიგდა.

არ გასულა თხუთმეტი-ოცი წუთი, ნავმა რაღაცას ცხვირი წაჰკრა და იქვე დადგა. ეს იყო ნაპირი. ჯარისკაცები წამოდგნენ და ბნელში გაუჩინარდნენ. უზომოდ დაღლილმა დომუზაშვილმა კი ნავი მკალვზე გამოიბა და რიყეზე წამოწვა.

წამოწვა თუ არა, მდინარის გრიალიც გაძლიერდა, თითქოს ერთბაშად დიდი წყალი მოვარდაო.

„მიწაზე წოლის ბრალია“! — გაიფიქრა მესანგრემ.

მაშინვე წამოდგა, რომ ყურთასმენა ზედმეტად არ დაეტვირთა.

დრო თითქოს გაჩერდა... მაშ რა არის, რომ საათის ისარმა აქამდე ერთხელ ვერ შემოუარა მანათობელ ციფერბლატს! ნუთუ ასე გაგრძელდა ეს სამოცი წუთი...

დაძაბული მისჩერებოდა ლელიანის შავად ალანდულ კედელს. იმ კედლის გადაღმა, სადღაც სერზე, სინათლე კიაფობს. ჩაიბჟუტება, ისევ გამობრწყინდება... ჩაიბჟუტება, ისევ გამობრწყინდება. პროჟექტორის შუქი დაეხეტება ერთმანეთზე მიწყობილ ბორცვებზე.

შორიდან აფეთქების ხმა მოისმა.

„გათავდა!“

დომუზაშვილმა ნავი შეაბრუნა, შიგ ჩარჩენილი წყალი ამოხაპა და სმენად იქცა. „თუ საქმე კარგად წავიდა, ნახევარ საათში აქ უნდა გაჩნდნენ!“

გავიდა ის ნახევარი საათი, დაიწყო მეორე... ამხანაგები იგვიანებდნენ. დომუზაშვილი შეშფოთდა.

ქართველმა ჯარისკაცებმა დავალება კი შეასრულეს, მტრის დოტი ცაში აიტანეს, მაგრამ უკანდახევისას, ეტყობა, გზა აერიათ. ლელიანში კარგა ხანს იხეტიალეს, სანამ დომუზაშვილს იპოვიდნენ. ამასობაში კიდეც ინათა, მტერმა ქართველების კვალს ადვილად მიაგნო და მთელი ათეული დაადევნა.

ჩვენებმა მოასწრეს ნავში ჩასხდომა. გერმანელები სწორედ იმ დროს გამოშლიგინდნენ ლელიანიდან, როდესაც დომუზაშვილის ნავი უკვე სამშვიდობოს გავიდა. თუმცა რაღა სამშვიდობოს! გამოღმა გამოსულ ქართველებს მტერმა გაშიშვლებულ რიყეზე მოუსწრო და ტყვია დააყარა. ჯარისკაცები სწრაფად გაიფანტნენ და წინასწარ გათხრილ სანგრებს შეეხიზნენ. მხოლოდ დომუზაშვილმა ვერ მოასწრო თავის შეფარება, რადგან ყველაზე ბოლოს ნავიდან ის გადახტა. მაშინვე ორივე ფეხში დაიჭრა და ამხანაგებს ჩამორჩა.

ფეხებწართმეულმა მესანგრემ ბევრი იწვალა და იცოდვილა, იქნებ რამენაირად სანგართან მივხოხდეო. იქ ამხანაგები ჭრილობებს შეუხვევდნენ და უპატრონებდნენ; არაფერი გამოუვიდა. მალე იდაყვები გამოეცალა და მიწას ულონოდ გაეკრა.

გიორგი ჭეიშვილმა თვალი მოატანა რიყეზე დამხობილ დომუზაშვილს.



მან თუ არა, სხვამ ვინ იცოდა, რომ ახლა სანგრიდან ამოსვლა სიკვდილს უდრიდა. მაგრამ ჭეიშვილმა ისიც იცოდა, ასეთი კარგი და თავდადებული ამხანაგის მიტოვება არ შეიძლებოდა. იგი დაჭრილი იყო და სისხლისაგან იცლებოდა.

ასეთ შემთხვევაში გული და სინდისი ჭკუის ანგარიშს ყურს არ უგდებს.

ჭეიშვილი დაუყოვნებლივ ამოცურდა სანგრიდან. ამხანაგებს დაუბარა, თქვენ თოფები დაუშინეთ იმ ოხრებს, რომ თავი ვერ წამოსწიონ და ნიშანში ვერ ამომიღონ, მე კი ვეცდები რამე გავაწყოო...

დაჭრილთან რომ მიხოხდა, ის უკვე უმწეოდ ბობღავდა მიწას. დასისხლიანებულ ფრჩხილებზე ეტყობოდა, სული ეგრე ადვილად არ ეთმობოდა.

გერმანელებმა ლელიანიდან ტყვიამფრქვევი გამოაგორეს და ისე გავარცხნეს ჩვენი ნაპირი, რიყის ქვებს სულ ტკაპატკუპი გაუდიოდა. საბედნიეროდ, ალალბედზე ისროდნენ, დამიზნებას ვერ ახერხებდნენ. ჭეიშვილმა ამით ისარგებლა და მესანგრეს ფეხები შეუხვია, მერე მისი მკლავები კისერზე შემოიჭდო და უთხრა: — ხელი არ გამიშვა, ბიჭო, მაგრად იყავი! — წამოიკიდა ზურგზე და მძიმე-მძიმედ სანგრისაკენ იბრუნა პირი.

დიდი გაჭირვებით მიხოხავდა. ნარიყალი ადგილი არავითარ შეღავათს არ აძლევდა, ქვა ხელიდან უსხლტებოდა, ძალას ვეღარაფერს ატანდა. მაინც მიიწევდა წინ; იგი უკვე ხედავდა სანგრის ქეჩოს... იცოდა, რასაც აკეთებდა და ეს მატებდა მხნეობას.

ომი კი, ეს დასაქცევი ომი, მუდამ თავისი უკუღმართი გზით დადის. მისთვის სულ ერთია გზაზე ვინ გადაეყრება, — ქაჯი თუ ანგელოზი, გმირი თუ ლაჩარი... მას ყველასთან ერთი ანგარიში აქვს: წაგვართვას ის, რისი დაბრუნება ქვეყანაზე არავის შეუძლია. წაგვართვას იმ დროს, როდესაც ჩვენ არაჩვეულებრივად კარგები და ლამაზები ვართ...

ტყვია ფერდში მოხვდა გიორგი ჭეიშვილს. ის მაინც არ შეჩერდა, თუმცა ჭრილობას მიხედვა კი უნდოდა. რაღა დამრჩაო, ალბათ ეს იფიქრა და ხოხვა განაგრძო.

უცბად დომუზაშვილი საოცრად დამძიმდა, ჭეიშვილს სული შეუგუბდა, თითქოს ზურგზე ვეება ლოდი დააწვაო. იგი მიხვდა, მესანგრემ გრძნობა დაჰკარგა. მაშინ კი აჩქარდა გიორგი ჭეიშვილი. თუ აქამდე კიდევ ებრალებოდა თავისი დაბეგვილი იდაყვები და მუხლები, ახლა ისე გარეკა წინ, ტკივილი ბურღივით დაუტრიალდა გულ-მუცელში.

ასე მიხოხდა ცოცხალ-მკვდარი ჯარისკაცი თავის სანგართან და მხოლოდ მაშინ მოითქვა სული... მაგრამ ეს მისი უკანასკნელი სულისთქმა იყო.

როდესაც მისი ზურგიდან გონმიხდილი მესანგრე გადმოიღეს, გიორგი ჭეიშვილი უკვე აღარ სუნთქავდა.

ასე რაინდულად გასწირა თავი ერთმა ალალმა ქართველმა ბიჭმა, გასწირა იმიტომ, რომ გადაერჩინა ის, ვისაც ყველა სახელში ყველაზე ძვირფასი და წმინდა სახელი ერქვა: ა მ ხ ა ნ ა გ ი.

# ბაქსანზე

თავისუფალ დროს ხშირად მივუბრუნდები ხოლმე ჩემი ფრონტული უბის წიგნაკებს.

არაფერი ისე არ მეძახის თავისკენ, როგორც ეს უკვე ფერგადასული ფურცლები, პირთამდე გავსებული თარიღებით, გვარებით, ტყეებისა და მდინარეების სახელებით, სოფლებით, ხევებით, მაღლობებით...

აჩქარებულ ხელს ყველაფერი ჩაუწერია, რაც საკუთარი თვალით მინახავს, ან რაც სხვებისაგან გამიგონია. ჩაუწერია ზოგან უფრო დაწვრილებით, ზოგან კი, სამწუხაროდ, ჩემი ფანქარი ერთი-ორი სიტყვით დაკმაყოფილებულა, ალბათ იმის იმედით, ამ ამბავს, ამ გვარსა და სახელს რა დამავიწყებსო.

მაგრამ დრომ თავისი გააკეთა: ზოგი რამ დამავიწყა.

შეკვეცილი, ნაუცბათევად ჩანიშნული სტრიქონები ზოგჯერ ვერ გავაცოცხლე, ვერ დავუბრუნე შორეულ ლანდებს ის ფერ-ხორცი, ურომლისოდ კაცი მინდორზე ვერ გაივლის, ტყე შრიალს არ დაიწყებს და თოფიც არ გავარდება.

კიდევ კარგი, ამ ამოუცნობ სტრიქონებში ხანდახან ისეთი კაცის გვარი გამოერევა, მაშინდელ მეხისტეხას ცოცხალი რომ გადაურჩა და თავის კერას დაუბრუნდა.

ამიტომ ხან ქვემოჭალაში კოლმეურნე ლევან ბაზლიძეს მივაკითხავ, ხანაც ქუთაისში ყოფილ სერჟანტს ოთარ სულაბერიძეს უნდა შევხვდე, — (სწორედ მისი ასლი და კვალი იყო ჩემი ლადო ვაშალომიძე).

ხან კიდევ კახეთს მივაშურებ, იქნებ სადმე შეუდარებელი რაინდი კაცის ალექსანდრე ქიტიაშვილის ნაკვალევს წავაწყდე.

გუშინ კი საბჭოთა კავშირის გმირი, ამჟამად მილიციის პოლკოვნიკი, ალექსი პირმისაშვილი შევაწუხე, თუ ძმა ხარ, მითხარი, ფონ მაკი ვინ იყომეთქი.

— რატომ მეკითხები? — შეიცხვირვა ალექსიმ.

— აი რატომ!

კიდეებშეყვითლებული წიგნაკი გავშალე და ერთი ჩანაწერი წავაკითხე.

14 ოქტომბერი. ამ საღამოს ვიყავი არტილერისტებთან. გავიცანი დივიზიონის მეთაური კაპიტანი ალექსი პირმისაშვილი. დიდხანს ვესაუბრე.

მერე ჩამოთვლილი მქონდა ათითორმეტი გვარი, — ზოგი ქართველი ჯარისკაცისა, ზოგი რუსისა, სომხისა, რუმინელისა, და ბოლოს მკრთალად იყო მიწერილი ფონ მაკი.

— ვერ გავიხსენე, ალექსი, ეს გვარი რატომ მოხვდა ამ წიგნაკში!

ალექსიმ გაიცინა და მითხრა:

— რას მიშვრები, კაცო! ეგ რამ დაგავიწყა! ფონ მაკი იმ გენერლის გვარია, ჩემმა არტილერისტებმა რომ მოჰკლეს ბაქსანზე, თივის ზვინთან!

— ამდენი გვარი და სახელი მე კი არა, მამალმერთსაც დააბნევს! — ვიმართლე თავი.

ბაქსანი. სათიბ-საძოვარზე ვეება ზვინები... ყველაფერი ერთბაშად გამახსენდა, რაც იმ საღამოს პირმისაშვილის დივიზიონში მიამბეს.

1942 წელი. სექტემბერი. გენერალ მაკენზენის ტანკები თერგისაკენ მოისწრაფვიან.

პირდაპირი იერიშით რომ ვერას გახდნენ, ელხოტოვოს გამაგრებული უბანი გვერდზე მოიტოვეს და შემოსასვლელი გზებით ვლადიკავკაზისაკენ გამოიჭრნენ.

მტერი არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, ოღონდაც საქართველოს სამხედრო გზა ხელში ჩაიგდოს.

ყველაზე ძლიერად სწორედ იქ დაჰკრეს,. სადაც ქართული პოლკები

იდგნენ. დიდი ღონე უნდოდა ამ ტანკების მოგერიებას, და ქართველებმაც პირი არ შეირცხვინეს.

ჩვენი დივიზიის მარჯვენა ფრთაზე, იქ სადაც ბაქსანი უკვე დადინჯებულ თერგს უერთდება, ალექსი პირმისაშვილის ქვემეხები დადგნენ. კაპიტანმა ხევის პირას ერთი კარგად შეფოთლილი მუხა შეარჩია და იმის ვეება ტოტებში სათვალთვალო ადგილი მოაწყო.

გერმანელ სნაიპერს არ უყვარს, როცა მათი პოზიციების ახლომახლო ასეთი მაღალი ხე ან ბორცვი გამოჩნდება. იგი თვალს არ მოაშორებს ამ არასასურველ მეზობელს და თუ საეჭვო რამე დალანდა, რა თქმა უნდა, ტყვიას არ დაზოგავს. ასე რომ, იმ ხეზე დაბინავებული კაცი, ბედნიერი ვარო, ვერ იტყოდა.



პირმისაშვილმა მაინც გასწია ეს რისკი, რადგან აქედან საველე დურბინდში მთელი გაღმა ნაპირი მოსჩანდა. გვალვისაგან გადაყვითლებული სიმინდის ყანები, სათიბი მინდვრები, ზვინები, ტყიან სერებზე დახვეული შარაგზა...

სწორედ ამ სათვალთვალო ადგილიდან წარმართა პირმისაშვილმა თავისი ქვემეხების ცეცხლი, სწორედ აქედან გახსნა გამოცდილმა მეომარმა იმ ვეება ზვინების საიდუმლოება.

საქმე ასე იყო: წინა დღეებში მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, — გერმანელებმა ჯარების გადაჯგუფება დაიწყეს, აქედან უკვე აიყარნენ და ურვანის ხეობას მიაშურესო. მართლაც, პირმისაშვილმა დაადასტურა, რომ შარაგზებზე მანქანების დიდი ორომტრიალი იყო. მტვერში გახვეული ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები, დატვირთული საბარგულები ხეობისაკენ მიიჩქაროდნენ.

რა იყო ეს?

თვალის ასახმელი, მოსატყუებელი მანევრი თუ მტერმა მართლა განიზრახა პოზიციის გამოცვლა?..

გეშმა არ უმტყუნა ალექსი პირმისაშვილს. მალე გამოირკვა, რომ ის ტანკები დაღამებისას თითო-ოროლად უკანვე ბრუნდებოდნენ და თავის ზვინებში იმალებოდნენ. ყველაფერზე ეტყობოდა, მტერი მოულოდნელი იერიშის თადარიგს იჭერდა. არ გასულა დიდი ხანი, პირმისაშვილის არტილერისტებმა ტანკების თავმოყრის ადგილი ცეცხლის ალში გაახვიეს. სწორედ მაშინ მოხდა ის საარაკო ამბავი, რამაც დიდად გაუთქვა სახელი ახალგაზრდა კაპიტანს.

...იმ დილას ალექსი ჩვეულებრივად მოეწყო თავის სათვალთვალო ტოტზე, რომ უეცრად გაღმა, ფერდობის ძირში, ორი ჯავშნიანი მანქანა დაინახა. მანქანები გამალებული მიჰქროდნენ მტვრიან ნაურმალზე.

სამიზნო მანძილის გამოთვლა და სროლის დაწყება ერთი იყო. ალექსი პირმისაშვილს, საარტილერიო ცეცხლის კორექტირების უბადლო ოსტატს, კარგად აუბა მხარი ქვემეხის მემიზნე დიმიტრი ხახიძემ. შავი კვამლი რომ გაიფანტა, ნაურმალს უკვე აღარაფერი აღარ ამტვერებდა. ორივე მანქანის ნამსხვრევები ფერდობს შეაყარეს...

ალექსი პირმისაშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, ვისი „ცოდვა მოიკიდა“ ამ სექტემბრის კამკამა დილას. მათი ვინაობა მხოლოდ ნაშუაღამევს გაიგო, როდესაც ჩვენმა მზვერავებმა ფაშისტი ოფიცერი ჩაიგდეს ხელში. ოფიცრის დაკითხვაზე გამოირკვა, რომ მოკლული იყო გერმანელთა ოცდამესამე სატანკო დივიზიის მეთაური, გენერალი ფონ მაკი, დივიზიის შტაბის უფროსი გრაფი ფონ ჰეგენი და მთელი მათი ამალა.

ორი დღის მერე ეს ამბავი გენერალ კლაისტის გაზეთმა „ფანცერ ფორანმაც“ დაადასტურა.

მხატვარი ჯ. ლოლუა.

## დღეს გამარჯვებისა

**გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი**

გახსოვს, წინათ, შარშანწინ, როგორც თავის ლელოზე,
შავ ფრთებს თვითმფრინავები შლიდნენ საქართველოზე.

გახსოვს, უდაბურება შენიღბულთა ღამეთა?
დღეს კი სხივმა ყოველგვარ დონეს გადაამეტა.

დგანან კავკასიონის მთები მონავერცხლები,
გამარჯვების ხალისით ახმაურდნენ მერცხლები.

მოჰყევ, შავო მერცხალო, რა მზე, რა ჰაერია.
გიხაროდეს: სამშობლო ვერაგ მტერს მოერია.

აჭიკჭიკდი, მერცხალო, მართალია თუ არა —
ოთხი წლის მრისხანებამ ჩვენს გზებს გადაუარა.

არ დააცხრო, მერცხალო, ხმები ფიქრთგასართველი:
სხვებთან ერთად თავს სდებდა მეომარი ქართველი.

ბევრი იყო იმ ომში ჯარი და ჯაამათი,
ოთხნი ძმანი, ზოგანაც ექვსი, შვიდი და ათი.

გმირთა იმათ, მერცხალო, ჰპოვონ მხარე სიმრთელით,
ვით შენ ჰპოვე უვნები ბუდე შარშანწინდელი.

აქ ახლა ქვაც არ არის უხმო, უნაპერწკალო,
აჭიკჭიკდი, მერცხალო, ეშხიანო მერცხალო!

1945 წელი, 9 მაისი.

*

**ს ი მ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი**

ხანდაზმული თუ ჭაბუკი
ქართლის გზაზე თუ შეგხვდება,
მგზავრს აგზომავს თვალის შუქით,
მკვირცხლად გეტყვის: გამარჯვება!

ჭირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკაჟებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა
მშობელ კუთხის გამარჯვება.

წინაპრები ჭექდნენ ოდით,
საზღვრად ვიდგეთ დარაჯებად,
და როცა მტერს მოველოდით,
ხმალზე ვწერდით გამარჯვებას.

გუთნისდედის ხმაც ისმოდა,
ქედს არ ხრიდნენ ხარაჯებით,
ქართველების წინ მიჰქროდა
მჭექარე ხმა გამარჯვების.

ამ ძახილით ცეცხლი გვერგო,
მისალმებიც ღირსშესანიშნავი,
გამარჯვებით რომ შეგვემკო
ჩვენი მთა და ჩვენი ველი.

დღეს ორკეცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მახვილს და ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება.

მტერი ბევრი დაინისლა,
მაგრამ იგი ჯერ არ ცხრება,
გულში ღვივის სტალინის ხმით
მედგრად თქმული გამარჯვება.

მისი ცეცხლი გზას გვინათებს,
ხალხის ძალა არ დაშრება.
ჩვენს მხედრებს და ჩვენს შავარდნებს
მტრის ურდოზე გამარჯვება.

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთიც ველარ გადარჩება.
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება!

სისხლი სისხლის წილ დავლვაროთ,
მტერზე რისხვა გაგვიძლდება.
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ გამარჯვება!

1941 წელი, აგვისტო.

## მას დიდება

**გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე**

მას დიდება, მას დიდება, მის მარჯვენას ბარაქალა,
ვინც მტრის ურდოს დაედევნა, სულის მოთქმა არ აცალა,
ვის თვალებშიც შიშის ლანდი არასოდეს ფარფატებდა,
ვინც მომხდური დაამსხვრია კავკავთან და კარპატებთან.

ვისაც ერთი ნატვრა შერჩა, რა გინდ ჭირი გადახდოდა,
გამარჯვება მოელოცნა გერმანიის საგანგოდან!
მას დიდება, ვინც სტალინის დროშა კვლავაც ასახელა,
ვისაც ცხელი ტყვია მიაქვს მტრის გულმკერდზე დასახლელად.

ვინც ამ ზეიმს შეგვახვედრა, ვინც თვით სჭედავს იმ დღეს, როცა
დამარცხებულ ბერლინიდან გამარჯვებას მოგვილოცავს!
მას დიდება — უნგრეთშია, ვისლაზე თუ კარპატებთან,
ვის თვალებშიც შიშის ლანდი არასოდეს ფარფატებდა!

1944 წ.



რაიხსტაგის ალება.

მხატვარი რობერტ სტურუა.

## გამარჯვების გაზაფხული

**ი ო ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი**

ჯერ ასეთი გაზაფხული
არ დამდგარა ჩვენთვის, ძმებო,
აგვისრულდა განზრახული
სანეტარო, საოცნებო.

ზამთრისაგან დამზრალ მდელოს
მზე ათბობს და ახალისებს.
ეს მაისი სასახელო
სულ არა ჰგავს სხვა მაისებს.

მტერს დავკარით თავის დროზე,
შემოვარტყით ცეცხლის კალთა,
და ბერლინის კენწეროზე
ჩვენი დროშა აფრიალდა!

მე ეს თასი საზაფხულო
ყვავილებით ამივსია.
გაიხარე, ჩემო გულო,
გამარჯვების მაისია!

1945 წ. 9 მაისი.



# მშვიდობა ბრძოლით მოიპოვება

ძვირფასო ბავშვებო!

როდესაც გონების თვალით გადავხედავ დღევანდელ თქვენს ცხოვრებას და ამ ფონზე გავიხსენებ დიდი სამამულო ომის განვლილ წლებს, წუთით გული შემეკუმშება, მერე კი უეცრად გონება გამინათდება და სიხარულის გრძნობა დამეუფლება, რომ ჩვენს ბრძოლასა და გაჭირვებას, ოცი მილიონი ადამიანის თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია.

დღეს თქვენ, ჩვენი მომავალი თაობა, ცხოვრობთ ისეთ ხანაში, როცა სამშობლოს ზეცა კრიალა და მოწმენდილია, კაშკაშა მზე თავისი ცხოველმყოფელი სხივებით ათბუნებს დედამიწას, როდესაც ქვეყნად მშვიდობიანი შრომისა და მშენებლობის ატმოსფერო სუფევს და თქვენ შექმნილი გაქვთ ისეთი მდგომარეობა, როცა საშუალება გეძლევათ საყვარელ საქმეს მოჰკიდოთ ხელი — ისწავლოთ რომელ სასწავლებელშიც გინდათ, დაეუფლოთ მეცნიერებისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგს. მთელი ენერგია და შესაძლებლობა მოახმაროთ ქვეყნისა და სამშობლოს კეთილდღეობას, ბომბებისაგან დაუფუშვნელი აგური მიიტანოთ მამულის საძირკველზე, ერთი სიტყვით, განახორციელოთ ყოველი სანუკვარი მიზანი.

ამას იმიტომ ვამბობ და ვუსვამ ხაზს, რომ ჩვენს დროში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში, როცა თქვენი თანატოლები ვიყავით, ამდენი რამის შესაძლებლობა როდი გვქონდა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სკოლებიც კი არ იყო საკმარისი, ხშირად გვიხდებოდა სახლიდან სკოლამდე რამდენიმე კილომეტრის გავლა, ზაფხულობით ეს „გასეირნება" შეიძლება სასიამოვნოც კი იყოს, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ ჩვენი გაჭირვება ზამთრობით, იანვრის სუსხიან დღეებში, როცა ყველიერის მზეს ისევ ვერ მოუკრებია ძალა და ირგვლივ ქარბორბალა და გამთოშავი სუსხი ბობოქრობს.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ ბევრი ჩვენგანი უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, დავდიოდით ფეხშიშველანი, საკერებლებიანი ან დახეული ტანსაცმელი გვეცვა. შინ მისულებს კვარის შუქზე გვიხდებოდა კითხვა და გაკვეთილების მომზადება, აბა სინათლე სად იყო მაშინ! წიგნებიც გვაკლდა, ხშირად მთელ სოფელში ერთი წიგნით გავდიოდით მთელი ბავშვები ფონს. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ მათ შესაძენად ფული არა გვქონდა, მაგრამ სიძნელეებს მაინც არ ვუშინდებოდით, იმ ანდაზისა არ იყოს — „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო", რაც უფრო გვიჭირდა, მით უფრო დიდი იყო მისი დაძლევის სურვილი. უფროსები ჩაგვაგონებდნენ მამულის სიყვარულს, გვასწავლიდნენ ავისა და კარგის გარჩევას, გვილვივებდნენ კაცთმოყვარეობისა და თავდადების გრძნობას.

ახლა, როცა ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე ძალიან შორს და უკან დარჩა, მადლიერების გრძნობით ვიხსენებ იმათ ღვაწლს, ვინც ძალა და ენერგია არ დაიშურა, რომ ჩემი ქვეყნის ძნელბედობისათვის უტეხ და მტკიცე ადამიანად მოვემზადებინე. ისინი რომ არა, როგორ გავართმევდი თავს დიდი სამამულო ომის უმკაცრეს გამოცდას? დარწმუნებული ვარ, ძალიან გამიჭირდებოდა ყოველივე იმის გადატანა, რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში ვიგემე, როგორც ჯარისკაცმა და ადამიანმა.

უამრავ შემთხვევათა შორის განსაკუთრებით ერთი ამბავი დამახსომდა. 1941 წელი იყო. ოდესის ოლქში გულისმომკვლელ სურათს შევესწარი. მტრის მიერ დაბომბილ ტერიტორიაზე შევიჭერით, უცბად ვხედავ — მიწაყრილთან ბავშვი ჩუჩუნებს. იგი ნახევრად მიწაში ჩამარხულ დედას ჩაჰფრენია მკერდში და პერანგს ეწევა. ბავშვს ძუძუ უნდა, ჰგონია, რომ დედამისს ჩაეძინა და ცდილობს მის გამოღვიძებას.

აბა როგორ არ შეგილონდებოდა მსგავსი სანახაობის მხილველს გული? ის ტკივილი, ძვირფასო ბავშვებო, დღესაც გამკრავს ხოლმე და მწარედ შემაჟრუოლებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივხედეთ პატარას, მოვუარეთ, საჭმელი მივეცით და ზურგში გავგზავნეთ, სადაც მას არ დააკლდებოდა მოვლა-პატრონობა, საჭმელი და ჩასაცმელი, ოღონდ ერთი რამ, ყველაზე საყვარელი — დედა აღარ ეყოლებოდა გვერდში, დედა, რომელიც მუხანათურად მოუკლეს გერმანელმა ფაშისტებმა.

ახლაც ხშირად ვფიქრობ იმ ბავშვზე, ვინ იცის, ახლა სად არის იგი, ალბათ ოცდაათი-ოცდათერთმეტი წლისა იქნება, შესაძლებელია ქარხანაში მუშაობს, ან ჯარში მსახურობს, იქნებ მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწეობს, იქნებ მართლაც ცნობილი შრომის გმირი ან დიდი კაცია ვინმე.

ძვირფასო ბავშვებო!

თქვენი და ჩვენი ყოფა ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ჩვენ ყველანაირად გვიჭირდა, მაგრამ მაინც ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით, თქვენ კი მშვიდობიანობის, სიუხვისა და ბედნიერების დროში გიხდებათ ცხოვრება, მით მეტი ვალი და პასუხისმგებლობა გეკისრებათ და მოგეთხოვებათ სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მით უფრო უნდა ეცადოთ მეცნიერებისა და შრომის მწვერვალების დაპყრობას, ყოველთა სიძნელეთა გადალახვას, კოსმოსის საიდუმლოების დამორჩილებას და, რაც მთავარია, ადამიანად დარჩენას! რადგანაც ეს უკანასკნელი ყოველივე დიადისა და მაღლის, ნათელისა და გრანდიოზულის, აწმყოსა და მერმისის და ყოველთა დროთა და ჟამთათვის აუცილებელი ფუძეთა-ფუძე და საძირკველია.

მშვიდობაც მხოლოდ კეთილი ნების ადამიანთა ერთიანი ბრძოლითა და მისწრაფებებით მოიპოვება.

ვლადიმერ ჯანჯღავა,

საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის გენერალ ლეიტენანტი.

ზურაბ კუხიანიძე

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

# ჯარისკაცის ნამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ლადო ძია გვესტუმრაო! და ატყდება ბავშვების ჟივილ-ხივილი. ასეთ დროს სადილად რომ ისხდნენ, დანა-ჩანგალს დაყრიან, გაკვეთილებს რომ სწავლობდნენ, წიგნებსა და რვეულებს მიატოვებენ.

— ათეულო, სწორდი! — გაისმის ლადო ძიას ბრძანება, — სმენა! — ომახიანად გასძახებს და ჩამწკრივებულ ბავშვებს სათითაოდ ჩამოუვლის. ლადო ძიას მარჯვენა ფეხი არა აქვს და როცა რომელიმეს სიცელქეს შეამჩნევს, ხელჯოხს იკაკუნებს პროთეზზე. მოლუშული ჩაუვლის ათეულს და ახალ ბრძანებას გასცემს: — თავისუფლად!

— უუჰ! — შვებით ამოისუნთქავენ პატარა „ჯარისკაცები“.

— დაიშაა... — დაიწყებს ლადო ძია და სიტყვა არც კი აქვს დამთავრებული, რომ ბავშვები მისკენ გაექანებიან. მრისხანე მეთაური სახეგაბადრული დგას, იცინის და გამობერილ ჯიბეებს იცარიელებს. თავისთვის მარტოოდენ ქარვის მუნდშტუკსა და სიგარეტის კოლოფს იტოვებს. მერე ბავშვებთან ერთად ტახტზე ჩამოჯდება, ხის ფეხს წინ გაიშვერს. შარვლის ტოტს ჩაიწევს, პროთეზი არ გამომიჩნდესო, და იწყებს იმის მოყოლას, თუ რა გადახდა დიდ სამამულო ომში. ბევრჯერ აქვს ნაამბობი. ზოგჯერ მეორედ ჰყვება ადრე მონათხრობს, მაგრამ ისეთნაირად ახვაფერებს, ახალი ამბავი გეგონებათ.

— ფეხი როგორ დავკარგე, ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოგიყევით, ჩიტუნებო! — დაიწყო ამას წინათ ლადო ძიამ, მაგრამ მაშინ უფრო პატარები იყავით და ყველაფერი არ მითქვამს. მას შემდეგ საკმაოდ გაიზარდეთ, ახლა დიდები ხართ. და უფრო დაწვრილებით შეიძლება მოყოლა...

სანამ ამბავს დაიწყებდეს, ლადო ძიამ უეჭველად სიგარეტი უნდა გააბოლოს. ბავშვებმა ეს კარგად იციან და უმალვე საფერფლეს მოარბენინებენ.

—ჩვენი ნაწილი დილიდანვე შეტევაზე გადავიდა. გერმანელები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ თოვლში; გარბოდნენ და მუხლებამდე ეფლობოდნენ. ზოგი ახერხებდა თოვლიდან თავის დაღწევას და ისევ გარბოდა. ზოგი იქვე რჩებოდა ტყვიით განგმირული, ანდა ქანცგამოცლილი. იცოცხლეთ, შავი დღე დავაყარეთ! ბევრმა მაინც გაგვასწრო და ტყეში მიიმალა. ფეხდაფეხ მივსდევდით. ტყემდე რაღაც ხუთასიოდე მეტრი იყო დარჩენილი, რომ უცებ იქიდან გერმანელთა ხუთი ტანკი გამოიჭრა. ტანკები საშინელი გრუხუნით ჩვენკენ გამოემართნენ და ქვემეხებიდან ცეცხლს ანთხევდნენ.

ისეთი მოულოდნელი იყო ამ ფოლადის ურჩხულების გამოჩენა, რომ, ვინც მოწინავე რაზმში ვიყავით, დავიბენით, ავირიეთ და მტრის ტანკებმა მუსრი გაგვავლო. ხელყუმბარამომარჯვებული თოვლში ჩავწექი და ველოდი ტანკების მოახლოებას. რაღა დამრჩენოდა, სანამ მუხლუხოებით მიწასთან გამასწორებდნენ, ერთერთისთვის ხელყუმბარით მკერდი უნდა შემენგრია, მაგრამ დაწინაურებულმა სამმა ტანკმა მოშორებით ჩაიგრუხუნა და როგორც არ უნდა მომენდომებინა, ხელყუმბარას ვერ მივაწვდენდი. უცებ ჩემს გვერდით ნაღმი გასკდა, აფეთქების ძალამ ჰაერში ნაფოტივით ამისროლა და თოვლით ჩაბუქულ ნასანგრალ ორმოში გადამაგდო.

როცა გონს მოვედი, თოვლით ვიყავი დაფარული. თოვლი რისვაივაგლახით მოვიცილე და ქანცმილეული გულაღმა გავიშოტე. თავი სიზმარში მეგონა. ნაცრისფერი უხალისო ცა ისე ჩამოწეულიყო და ჩამობერილიყო, ვიფიქრე, სადაც არის თავზე დამემხობა და მიწაში ჩამიტანს-მეთქი. ხელებზე წამოვიწიე და ტკივილისაგან შევყვირე. მარჯვენა ფეხი არ მემორჩილებოდა, ძალ-ღონე მოვიკრიბე და როგორღაც ორმოდან ამოვფოფხდი. თოვლმა თვალები ამიჭრელა, მაგრამ მაინც გავარჩიე: თეთრი ტრამალის ბოლოს, იქ, სადაც აჩონჩხლილი ტყე იწყებოდა, ყვავების გუნდი მოფრინავდა და ქარს მათი ყრანტალი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოჰქონდა ჩემამდე. ნახანძრალი ტყიდან უკვე დამცხრალი ცეცხლის შავი კვამლი ამოდიოდა და დალეწილ-შერუჯულ ხეებს ეფინებოდა.

საჩვენოსკენ მოვიხედე და მეხგადავლილი ნაომარი ველი გადამეშალა თვალწინ. თოვლში არეული დათხრილი მიწა მოკლულთა გვამებით იყო მოფენილი. ყვავების ყრანტალი მიწყდა და სიჩუმე გამეფდა. დაჭრილთა კვნესაც არ ისმოდა. თეთრი ტრამალის ჰორიზონტზე გერმანელთა დამსხვრეული ტანკები ჩანდნენ. ერთი გულაღმა იყო აყირავებული, სამი ახლაც ხრჩოლავდა, მეხუთეს, ეტყობოდა გაქცევა მოესწრო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიფოფხე. თოვლი იყინებოდა და აღარ ვეფლობოდი, მაგრამ გათოშვისა მეშინოდა. გერმანელთა ტანკების იქით შავი ზოლი ჩანდა ჰორიზონტზე ან ტყისპირი უნდა ყოფილიყო ან, უკეთეს შემთხვევაში, მიყრუებული სოფელი.

იქითკენ მივხოხავდი და მივათრევდი ტყვიასავით დამძიმებულ ფეხს. გამშრალი, დასიცხული ტუჩებით თოვლს ვლოკავდი შესვენებისას. ტანკებს რომ გავცდი, უკვე ღამდებოდა; ცა იწმინდებოდა, ალაგ-ალაგ ვარსკვლავებიც გამოკრთნენ და ისევ მიიმალნენ ღრუბლის საბურველში. ყინვა ძლიერდებოდა, ხელები მეფიჩხებოდა, ხოლო როცა ღრმად ჩავისუნთქავდი, გაყინული ჰაერი ალესილ დანასავით ტრიალებდა ფილტვებში. იმედი აღარა მქონდა მიმეღწია იმ შავ ზოლამდე, რომელიც თანდათან ღამის ბურუსში ინთქმებოდა. ვიფიქრე, უკან დავბრუნდები, ტანკში ჩავძვრები და ღამეს იქ გავათევ-მეთქი, მაგრამ ფეხზე წამოდგომა არ გინდოდა?

ისევ ხოხვა განვაგრძე. მერე ხელები ისე დამიბუჟდა, თითებს ვეღარ ვამოძრავებდი, ბოლოს ძალაგამოლეული თოვლში ჩავემხე და ძილმა თავი წამართვა...

თვალი რომ გავახილე, მარხილზე გულაღმა ვიწექი. ტანზე თბილი ტყაპუჭი მეფარა, რომელიც ნიკაპამდე მწვდებოდა. მარხილი ნელა მისრიალებდა. აქეთ-იქით ქურქებში გახვეული ორი პატარა ლანდი მომყვებოდა. ლანდებს ხელები ჩემთვის მაგრად ჩაევლოთ, თითქოს ფრთხილობდნენ მარხილიდან არ გადმოვვარდნილიყავი. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ და ჭახჭახა ყინვა სახეზე მკბენდა.

პატარა ლანდები, რა თქმა უნდა, ბავშვები იყვნენ, მაგრამ მიკვირდა, მარხილში შებმული ცხენის ხმა რომ არ ისმოდა. ერთხელაც არ დაუფრუტუნებია.

მარხილი დადგა. ბავშვებიც შეჩერდნენ და ამ დროს ვიღაცამ ღრმად ამოისუნთქა, თანაც ყრუდ ჩაახველა. ეს ბავშვების ხმა არ იყო. მივხვდი, მარხილში ადამიანიება.

ტყაპუჭი გადამაძრეს, თოვლზე დააფინეს, მარხილიდან ფრთხილად გადმომიტანეს და ზედ დამაწვინეს. შემდეგ მიწურში გაჭირვებით ჩამაცურეს. მოხუცმა კაცმა წელზე ხელი მომხვია, ბავშვებმა ფეხებში ჩამჭიდეს ხელები და რუსულ ღუმელზე დამაწვინეს. იცით, როგორია რუსული ღუმელი? იგი უზარმაზარი კიდობანივით არის გარედან თიხით გალესილი. მასზე ოთხი კაცი თავისუფლად წვება და როცა მოგუზგუზე ცეცხლი მინავლდება, რაც უნდა ყინავდეს, როგორი ქარიც უნდა უბერავდეს, სითბოს დილამდე ინარჩუნებს.

ბიჭს ტოლია ერქვა. გოგონას — ანისია, მათ პაპას — იგნატი. ბავშვების მამა პარტიზანად წასულიყო ტყეში, დედა ტყვედ წაეყვანათ ფაშისტებს გერმანიაში. ჭრაქის სინათლეზე ბავშვების სახეებს კარგად ვერ ვარჩევდი, ხოლო ჩემს დასახიჩრებულ ფეხთან თავდახრილი მოხუცის ჭაღარა წვერს ნათლად ვხედავდი. პაპა იგნატი მაღალი, მხარბეჭიანი კაცი იყო, ნიჩბებივით ფართო ხელები ჰქონდა, რომლის ძალა მაშინვე ვიგრძენი, როცა ღუმელზე დასაწვენად ამიტაცა. მოხუცმა მარცხენა ფეხზე ჩექმა გამაძრო, ხოლო მარჯვენა ჩექმის ყელი დანით ჩაჭრა, მერე შარვალი გამხადა, მუხლამდე დაჩეჩქვილი წვივი თბილი წყლით გამბანა, ზედ ნაფოტები შემომიწყო და ჩვრით მაგრად შემიკრა. წყურვილი მაწუხებდა, მაგრამ მოხუცი წყალს წვეთ-წვეთობით მაწურავდა გახურებულ ტუჩებზე.

მთელ ღამეს ვბორგავდი, ღუმელზე ბელურებივით მიყუჟულ ბავშვებს ძილი დავუფრთხე, პაპა იგნატს კი თვალი არ მოუხუჭავს, გადიასავით მადგა თავზე. ფეხი ისე გამისივდა, იძულებული გავხდით ხის არტაშანები შემოგვეხსნა. გათენებისას მუხლს ზევით აიპარა სიმსივნე და ფეხი რუმბივით გამიხდა.

დილით პაპა იგნატმა გასიებულ ფეხს დახედა, თავი გაიქნია და თქვა:

— ცუდად არის შენი ფეხის საქმე, ქართველო!

— ვხედავ, ძვირფასო იგნატ! — ვთქვი და მწარედ ამოვიკვნესე.

— სოფელი არც ისე შორს არის, მაგრამ რად გინდა, ფაშისტებმა ისე გაასწორეს მიწასთან, ექიმს კი არა, ჩვრის გამრეცხავს ვერ იპოვის კაცი. — იგნატი ჩემკენ არცკი იხედებოდა, თითქოს ჩემს გასაგონად არ ამბობდა, თავის თავს ელაპარაკებოდა. — რაიონულ ცენტრამდე ორასი კილომეტრია, — განაგრძო მოხუცმა, — გავბედავდი წაყვანას, ერთი ჯაგლაგი ცხენი მაინც რომ მებადოს. დავუშვათ, მე შევები მარხილში, მივაღწევთ? ვერა, ძმაო, ვერ მივაღწევთ! ან თოვლი მიგვბუქავს გზაზე, ან მგლების ლუკმა გავხდებით. მოხდა სასწაული და ჩავაღწიეთ; გვიან იქნება! სხვა რამ უნდა ვიღონოთ, ქართველო!

პაპა იგნატი მიწურში ბოლთასა სცემდა და ხელებს ნერვიულად იფშვნეტდა. მერე რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, ღუმელისაკენ მტკიცე ნაბიჯით გამოემართა და ბავშვები ძირს ჩამოყარა.

— აბა, ჰაიდა, შოშიებო! ზევით ადით, გაიარ-გამოიარეთ, იქნებ თოვლში კურდღლის კვალს წააწყდეთ და მერე ხომ იცით, საფანტს არ დავაცილებ! გემრიელი სადილი გვექნება, შოშიებო!

ბავშვები მიწურიდან რომ გაიკრიფნენ, თავქვეშ ბალიში გამისწორა, მაჯაში ხელი მარწუხივით ჩამჭიდა, თვალებში ქორივით ჩამხედა და მტკიცედ თქვა:

— გამაგრდი, ქართველო!

— რას აპირებ, იგნატ ერმოლაევიჩ?! — ჩურჩულით შევეკითხე მოხუცს.

— ფეხი უნდა მოვიშოროთ, უსარგებლო ბარგია! — იგნატმა ხელი ჰაერში სასხლავივით მოიქნია და ისევ ჩამხედა თვალებში. — მეტი გამოსავალი არ არის. ვაჟკაცი ხარ და უნდა გაუძლო, ქართველო!

ვერ გავიგე, რას მიპირებდა მასპინძელი, მაგრამ თავი დავუქნიე.

მოხუცმა ქვაბში წყალი აადუღა და შიგ რაღაც ჩადო; ეტყობოდა, ლითონის საგანი იყო; ისეთი ჩხარუნი მოადინა ქვაბში. კარგა ხანს ადუღა წყალი, მერე ის ნივთი ამოიღო და გაამშრალა. „ხომ არ გაგიჟდა მოხუცი!“ — გავიფიქრე და შეშინებული თვალს ვადევნებდი მის ყოველ მოძრაობას. მომიახლოვდა. ხელში პატარა ხელის ხერხი ეჭირა. „ნამდვილად შეიშალა!“ — ვთქვი ჩემთვის და თვალებზე ხელები ავიფარე. ხელები თავქვეშ ამოიდეო, მიბრძანა და მეც უსიტყვოდ დავემორჩილე. „გამაგრდი, ქართველო, საშიში არაფერია! მუხლის ძვალი მთლად დამსხვრეულია, ფეხი ბარძაყს ორი თითისდადება ხორცით ჰკიდია. ხორცი არაფერია, მთავარია მუხლს ზევით ძვალი გადავხერხოთ, როგორც წესი და რიგია!“ მარცხენა ხელით ბარძაყი დამიჭირა და მუხლს ზემოთ ხერხი დამადო... თვალი დავხუჭე და ხერხის კბილები ძვალს რომ შეეხო, შევყვირე...

გონს რომ მოვედი, ფეხი აღარა მტკიოდა, ხელი თეძოზე ჩავაცურე, მუხლის თავი მაგრად იყო შეხვეული. კიდევ ქვევით ჩავყევი და იქ სიცარიელის გარდა არაფერი იყო.

მთელი კვირის განმავლობაში ვებრძოდი სიკვდილს. ტემპერატურა ხან მაღლა ავარდებოდა, ხანაც ისე დაეცემოდა, ცივი ოფლი მასხამდა და სხეული ყინულივით მიცივდებოდა.

პაპა იგნატი თავს დამტრიალებდა, შუბლზე საფენებს მადებდა, კოვზით წყალგარეულ არაყს მასმევდა. ტოლია და ანისია ხომ ერთი წუთითაც არ მშორდებოდნენ.

ამასობაში გამოვკეთდი და ჭამის მადაც გამეხსნა. საჭმელზე ხელმოჭერილად ვიყავით. მოხალული ხორბლითა და კარტოფილით გავდიოდით ფონს. პირველ დღეებში თითო კვნიტი შაქარიც გვქონდა, რომელზეც ორ-ორ ჭიქა ცხელ წყალს ვაყოლებდით.

შაქარი მალე გამოგველია და ერთ დღეს პაპა იგნატმა კარტოფილიც მოზომილად დაგვირიგა. ხუთ-ხუთი ცალი შეგვხვდა თითოეულს. ეტყობოდა, მარაგი ილეოდა. ორიოდე დღის შემდეგ ოთხ-ოთხი კარტოფილი გვერგო.

იმ დღეს ულუფად სამ კარტოფილს ველოდი. გავიღვიძე და სასთუმალთან ხუთი ეწყო. გამიკვირდა. პაპა იგნატი მიწურიდან გასულიყო. ტოლია და ანისია გადაჭრილ მორთან ჩაცუცქულიყვნენ, რომელიც მაგიდის მაგივრობას სწევდა.

ბავშვებს ჩემი გამოღვიძება არ გაუგიათ. არც მე შევეხმიანე, ქურქი მკერდამდე ჩამოვიწიე და მათი სუფ-

რა შევათვალიერე. მოხალულ ხორბალს მუჭით იყრიდნენ პირში. მორზე ორ-ორი კარტოფილი ეწყოთ. „ეს როგორ! — გავიფიქრე, — თითო ცალი შეჭმული რომ ჰქონდეთ, ნაფცქვენები ეყრებოდა სადმე. არა, კარტოფილისთვის ჯერ ხელი არ უხლიათ. — გული მომივიდა — პაპა იგნატის ბრალია ყველაფერი. ასე უკანონოდ განაწილება როგორ შეიძლება! ბავშვებს ორ-ორი კარტოფილი შეახვედრა, მე კი — ხუთი, ჩამოვიდეს ერთი მიწურში, ნახოს, რა ამბავი დავაწიო“!.

— დღეს სამ-სამი ცალი გვერგო! ხვალ კი ალბათ ორ ორი! — თქვა ტოლიამ.

საბრალო კეთილი ბავშვები, თვითონ ყბებში ლანდი გასდიოდათ, მოხალულ ხორბალს შოშიებივით ყლაპავდნენ და კარტოფილს მე მიზოგავდნენ.

ერთ დღეს, გათენებისას ბავშვები წიოკობით ჩამოხტნენ ლუმელიდან. პაპა იგნატმა ყურთან ხელისგული მიიტანა და სმენად იქცა. მეც წამოვჯექი და ყურები ვცქვიტე: ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. არა, არ მოგვჩვენებია! შორიდან ისევ მოაღწია მამლის ყივილმა. იმ დღესვე გუდა-ნაბადი ავიკარით. მე იგნატ ერმოლაევიჩის გაჩორკნილ ყავარჯნებზე შევდექი. მარხილში ისევ მოხუცი შეება, რებდა და სახეს გვარიდებდა. მოხუციც ვერ იყო გულდამშვიდებული, მაგრამ არ უნდოდა ცრემლი ეჩვენებინა ჩვენთვის.

პაპა იგნატმა რაიონულ ცენტრში ჩამიყვანა, იქიდან ახლო ქალაქში გამგზავნეს, სადაც ერთი თვე ჰოსპიტალში დავყავი. გამოვჯანმრთელდი, პროთეზი მომარგეს და სამშობლოში გამომიშვეს.

მას შემდეგ ოცდათორმეტი წელიწადი გავიდა. სად არ ვეძიე ტოლიასა და ანისიას კვალი, მაგრამ უშედეგოდ. პაპა იგნატი იქნებ ცოცხალი აღარც არის, ხოლო ბავშვების ცხოვრება როგორ წარიმართა, ვინ იცის?



— ხვალაც რომ მოვიკლოთ თითო-თითო ლადო ძიას ოთხი შეხვდება! — ჩაილაპარაკა ანისიამ და კარტოფილის გაფცქვნას შეუდგა.

— მარაგი მალე შემოგველევა! — თქვა ტოლიამ და მანაც დაავლო ხელი კარტოფილს.

— ხორბალიც თუ არ გაგვითავდა!.. — ჩაილაპარაკა ანისიამ.

ქურქი სახეზე გადავიფარე და ყელში მომდგარი ქვითინი ძლივს შევიმაგრე.

კეთილი, საოცარი ბავშვები! ყოველდღე, თურმე, თითო კარტოფილს იკლებდნენ და ჩუმად ჩემს ულუფას უმატებდნენ, სისხლისაგან დაცლილ ცალფეხა ჯარისკაცს არ მოშივდესო. მიწური დავტოვეთ და შუადღისას სოფელს მივაღწიეთ.

სოფლად სიცოცხლე ჩასახლებულიყო, გადახვეწილი, ცოცხლად დარჩენილი ადამიანები მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ და ალაგ-ალაგ ნანგრევებიდან კვამლიც ამოდიოდა.

პაპა იგნატმა სოფელში მისვლიდან მესამე დღეს ერთი ფერდებჩალეწილი ჯაგლაგი ცხენიც იშოვა და მარხილში შეაბა.

იმ სოფელში გამოვემშვიდობე ტოლიასა და ანისიას, ხან ლოყებს ვუკოცნიდი ჩემს შოშიებს, ხან მათ გამხდარ ხელებს ვიხუტებდი მკერდში. სამივე ვტიროდით. იგნატ ერმოლაევიჩი ცხენს მოსართავებს უსწორებდა...

— მაშინ რვა წლისანი თუ იყვნენ, ახლა ალბათ ორმოცისა შესრულდებოდნენ — თქვა მათემ.

— გზაზე რომ შეგხვდნენ, ვეღარც კი იცნობ ტოლიასა და ანისიას, ლადო ძია, — თქვა ზაზამ.

— სწორად იანგარიშე, მათებიჭო, ტოლია და ანისია ახლა მართლაც ორმოცი წლისანი იქნებიან, ისინი ხომ ტყუპები იყვნენ. — თქვა ლადო ძიამ, — შენ კი ცდები, ჩემო კარგო, ჩემი შოშიები, სადაც უნდა შემხვდნენ, მაინც ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, ის კი არა, ნამდვილად ვიცი, ამ შემთხვევაში გუმანი არ მიღალატებს, ჯარისკაცური გუმანი.

# ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა

## გრიგოლ სხულუხია

გრიგოლ სხულუხია ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა, როცა ჩვენს სამშობლოს მტერი შემოესია. რადგან კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, გრიგოლი ჯარში არ გაუწვევიათ, მაგრამ მან დაჟინებით მოითხოვა ფრონტზე გაგზავნა და მალე წითელი არმიის რიგებში ჩადგა თავის ორ ძმასთან ერთად.

1941 წლის დეკემბრის დამლევს ჩვენი სადესანტო ჯარები ყირიმში გადასხდნენ, მედგრად ეკვეთნენ მტერს და წინსვლა იწყეს. სწორედ ყირიმში ჯსახელა სამშობლო გრიგოლ სხულუხიამ, თავი დასდო ფაშიზმთან ბრძოლაში, რითაც სამარადისო დიდება და უკვდავება მოიპოვა.

როგორც მამაც მებრძოლსა და შესანიშნავ მზვერავს, გრიგოლს ხშირად გზავნიდნენ მტრის ზურგში სამხედრო-ოპერატიული ცნობების შესაკრებად და მოენის მოსაყვანად, რასაც იგი ყოველთვის გასაოცარი მოსაზრებულობით ასრულებდა.

ერთ-ერთი დაზვერვის დროს გრიგოლი დაჭრა ფაშისტმა ოფიცერმა, თან გამეტებით ეძგერა, რათა ტყვედ ჩაეგდო. მაგრამ საბჭოთა მზვერავმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ყელში სწვდა ჰიტლერელ ახმახს და დაახრჩო. გრიგოლის თანმხლებ მებრძოლებს საშუალება მიეცათ მოენე ეგდოთ ხელთ. მათ დაჭრილი მეგობარი ჰოსპიტალში მიიყვანეს.

ჯერ კიდევ ჭრილობამოუშუშებელმა გრიგოლმა კვლავ ისურვა დაზვერვაზე წასვლა. ის იყო, საბჭოთა მზვერავებმა ჩინებულად შეასრულეს საბრძოლო დავალება და უკან ბრუნდებოდნენ, რომ მტერმა განგაში ატეხა და ძელმიწურიდან გადამღობი ცეცხლი დაუშინა. გერმანელთა მთელი ათეული გარს შემოერტყა მზვერავებს და ბრძოლა გააჩაღა. გრიგოლ სხულუხიამ ხელყუმბარები სტყორცნა ძელმიწურს, ჩააჩუმა საცეცხლე წერტი და შემდეგ ავტომატით დაიწყო ჰიტლერელთა ცელვა. ამით ისარგებლეს ჩვენმა მებრძოლებმა და სამშვიდობოზე გავიდნენ. სხულუხიას მტრის ზურგში მოუხდა დარჩენა. იგი განაგრძობდა თავგანწირულ წინააღმდეგობას, მაგრამ ამ დროს მძიმედ დაიჭრა, მიწაზე დაეცა და გონება დაკარგა...

1942 წლის 2 თებერვალს, მტრის სათავდაცვო უბნის დაზვერვის დროს, ორმა ჩვენმა მეომარმა ყირიმის სოფელ ჯანტორას საბრძოლო უბანზე ხუთი საბჭოთა მებრძოლის საშინლად დამახინჯებული გვამები ნახა. მათგან მხოლოდ ერთის ვინაობის გამოცნობა მოხერხდა — მის გვამთან იპოვეს პარტბილეთი, გაცემული გრიგოლ პეტრეს ძე სხულუხიას სახელზე.

ფაშისტ ბარბაროსთა საზარელმა დანაშაულმა მთელი ყირიმის ფრონტი აღაშფოთა. არმიის პოლიტსამმართველომ მიმართვა გამოაქვეყნა ჯარისკაცების, მეთაურებისა და პო-



ლიტმუშაკებისადმი ხუთი წითელარმიელის წამებით დახოცვის გამო. მიმართვაში გრ. სხულუხიას შესახებ ეწერა: „...გვამი საშინლად დასახიჩრებულია, თვალები — ამოთხრილი, ხელის თითებზე წაგლეჯილია ფრჩხილები, გულმკერდი დანით აქვს დასერილი“.

როცა ჩვენმა ჯარებმა კვლავ დაიჭირეს ჯანტორა, სოფელში შერჩენილმა რამდენიმე მცხოვრებმა საბჭოთა ჯარების სარდლობის მიერ გამოყოფილ კომისიას უამბეს, რომ გერმანელებმა ველზე ნახეს მძიმედ დაჭრილი გრიგოლ სხულუხია, ხელი ჩაავლეს და მხეცურად წაათრიეს თავიანთ ნაწილში. იქ მას წყალი გადაასხეს, მოასულიერეს და ცდილობდნენ დაეტყუებინათ სამხედრო საიდუმლოება ჩვენი ჯარების განლაგებისა. და მოქმედების შესახებ. სასტიკი წამებისა და დასახიჩრების მიუხედავად, სხულუხიამ არ უღალატა ფიცს, ბოლომდე სამშობლოს ერთგული დარჩა და თავისი სიცოცხლე შესწირა მას.

ცნობილი საბჭოთა მწერალი პ. პავლენკო გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ გამოქვეყნებულ ფრონტულ ნარკვევში წერდა: „მცხოვრებლები, რომლებმაც ნახეს გრიგოლ სხულუხიას საშინელი სიკვდილი, ამბობენ: როგორც კი ცეცხლი სახეზე მოედო, მან თითქოს ძილში დაიყვირა და მოინდომა მოტეხილ ხელებზე დაყრდნობით ცეცხლიდან გამოსვლაო. და მაშინ მათ გაიგონეს გრიგოლ სხულუხიას უკანასკნელი, ხანგრძლივი, ალმავალი შეძახილი, რომელიც სიმღერას წააგავდა. შესაძლოა საქართველოს შესძახა: „დედასამშობლოვ, იმღერე ახლა ჩემზეო!“ ან მოახლოებული ბრძოლის გუგუნი რომ ესმოდა, სახელის მოხვეჭისაკენ მოუწოდა თავის თანამებრძოლებს, რომლებიც უკვე სოფელში იჭრებოდნენ: „ძმებო, ვკვდები თქვენს წინ!“ ეს იყო და ეს, არ დაუკვნესია, სხეული არ ასთრთოლებია, მოკვდა ისე, თითქოს ცის ტატნობიდან ჩამოვარდა ფრენის დროს მოკლული ფრინველი. სოფელი დაღამებისას აიღეს. კოცონი კვლავ გიზგიზებდა და სხულუხიას სხეულზე ბეჭებშუა მოჩანდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი (რომელიც ფაშისტ-მკვლელებმა ამოჭრეს მის ტანზე). სხეული ჰგავდა ბრძოლაში დამწვარ დროშას. ცეცხლი ვერ მიეკარა მხოლოდ ბაირაღის ემბლემას — ცეცხლგამძლე ფოლადის ვარსკვლავს“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 29 ივნისის ბრძანებულებით წითელარმიელ გრიგოლ სხულუხიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

## ვიქტორ ტალალიხინი

მფრინავი-გამანადგურებელი ვიქტორ ტალალიხინი დაიბადა 1918

**წელს სარატოვის ოლქის ვოლსკის რაიონის სოფელ ტეპლოვკაში. სწავლობდა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში, მუშაობდა მოსკოვის ხორცკომბინატში. 1939-1940 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში.**



**1941 წლის 7 აგვისტოს მოსკოვის მისადგომებთან ვ. ტალალიხინმა ავიაციის ისტორიაში პირველმა მოახდინა ტარანი ღამის საჰაერო ბრძოლაში — თვითმფრინავი დააჯახა მტრის ბომბდამშენს და ჩამოაგდო.**

**მან ამის შემდეგაც ბევრჯერ ისახელა თავი — მოწინააღმდეგის კიდევ 5 თვითმფრინავი დაანარცხა მიწას. სამწუხაროდ, ვ. ტალალიხინის დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა: 1941 წლის 25 ოქტომბერს დაიღუპა საჰაერო ბრძოლის დროს.**

**სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით, მამაცი მფრინავის გვარი და სახელი სამუდამოდ იქნა შეტანილი გამანადგურებელი ავიაპოლკის 1-ლი ესკადრილიის სიაში. სწორედ ამ ესკადრილიაში მსახურობდა ლეიტენანტი ვიქტორ ტალალიხინი.**

# ჭიჭიკო ბენდელიანი

საბჭოთა კავშირის გმირთა პლეადას ამშვენებს მამაცი მფრინავის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელი.

დაბა ჩოხატაურში დაბადებული და გაზრდილი, ახოვანი და მკვირცხლი ჭაბუკი 1935 წელს საფრენოსნო სკოლაში შევიდა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მფრინავი ოფიცერი გახდა. ავიაგამანადგურებელი ჩაბარეს. 1939 წელს უკვე რგოლის მეთაური იყო.

და აი დაიწყო დიდი სამამულო ომი. ბენდელიანი ერთი იმ მფრინავთაგანი იყო, ვინც ცაში ავიდა ომის პირველსავე წუთებში. პირველი საბრძოლო ნათლობა კიევის თავზე მიიღო.

20 „იუნკერსი" შემზარავი ღრიალით მიემართებოდა ქალაქისაკენ. ჰაერში მათ დახვდათ ჩვენი მფრინავების ოთხეული — შიშკინი, მელნიკოვი, ბორისოვი და ბენდელიანი. გაიმართა საჰაერო ბრძოლა. რამდენიმე წუთის შემდეგ მტრის ოთხი თვითმფრინავი მიწას დაენარცხა, დანარჩენებმა უკან მოკურცხლეს. მაგრამ ბენდელიანს თვითმფრინავი დაუზიანეს და იძულებითი დაშვება მოუხდა. მან მტრით გარშემორტყმულ ადგილას შეაკეთა გაღუნული პროპელერი და შასი. ღამის ორ საათზე უკვე ცაში იყო. მტერმა ძლიერი ცეცხლი დაუშინა, მაგრამ ჭიჭიკო ბენდელიანი მშვიდობით დაბრუნდა თავის ნაწილში. ამის შემდეგ მას კვლავ მიჰქონდა იერიში მტრის ჯარებზე, აცილებდა ჩვენს ბომბდამშენებს, აწარმოებდა საჰაერო დაზვერვას, ებრძოდა ფაშისტ სვავებს. 1941 წლის შემოდგომაზე მიიღო პრველი საბრძოლო ჯილდო — წითელი დროშის ორდენი.

1942 წლის 21 მაისს მფრინავთა ოთხეულმა — ბენდელიანმა, კოსტინმა, კობილეცკიმ და ბუგაევმა მიიღეს დავალება, ჰაერიდან დაეფარათ ჩვენი სახმელეთო ნაწილების მოქმედება.

6 „იუნკერსი" და 4 „ჰაინკელი" მოემართებოდნენ ჩვენი ნაწილის დასაბომბად, მათ აცილებდნენ 12 „მესერშმიტი" და 2 „ფოკე-ვულფი" — მტრის 24 თვითმფრინავი საბჭოთა 4 თვითმფრინავის წინააღმდეგ.

— აბა, ერთი დავერიოთ ამ არამზადებს! — გადასცა რადიოთი თავის ამხანაგებს რგოლის მეთაურმა ბენდელიანმა. ოთხივენი გაბედულად შეიჭრნენ ბომბდამშენთა მწყობრში. უმაგალითო იერიშებით, ზუსტი მანევრირებით, გამანადგურებელი ცეცხლით მათ არევ-დარევა შეიტანეს ფაშისტი სვავების რიგებში, არ მიუშვეს ჩვენი ჯარების განლაგებამდე, აიძულეს უწესრიგოდ ჩამოეყარათ ბომბები. მტრის ავიაგამანადგურებლებთან ბრძოლაში ჩვენმა ოთხეულმა განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინა, ჩამოაგდო 3 თვითმფრინავი. ამ ბრძოლისათვის საბჭოთა მფრინავები ლენინის ორდენით დაჯილდოვდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებით გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ყაისარის ძე ბენდელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გაჩაღდა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე დასავლეთ ბუგის გადალახვისათვის. განუწყვეტლივ მიემართებოდნენ მდინარისაკენ საბჭოთა ჯარების კოლონები, ქვემეხები, ტანკები.

ბენდელიანი წინ მიუძღვოდა მფრინავთა ჯგუფს. მალე გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. ბენდელიანი პირველი ეკვეთა მტერს. გაჩაღდა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა. ბენდელიანს 4 თვითმფრინავი მიესია. იგი რადიოთი უხმობს თავის მეწყვილეს, მაგრამ პასუხი არ არის.

ბენდელიანმა ერთი თვითმფრინავი მიწას დაანარცხა, მეორისაკენ გასატარნავად გაექანა. ფაშისტი გაექცა. მესამეს მოხვდა ბენდელიანის ტყვია და ძირს დაეშვა. მეოთხე მიიმალა.

უცებ თვითმფრინავი შეინჯღრა. ჭიჭიკოს რაღაცამ დაარტყა თავში. თვალთ დაუბნელდა, საჭე ხელიდან გაეშვა. კვამლში გახვეული თვითმფრინავი თავის უკანასკნელ გზას დაადგა დედამიწისაკენ. ამ დროისათვის მას 410 საბრძოლო გაფრენა ჰქონდა.

ეს მოხდა 1944 წლის 20 ივლისს. ქალაქ კონოს მახლობლად, გოლობის რაიონის დაბა ბიტენში, დიდი ბაღის შუაგულში დაკრძალულია ქართველი ხალხის გმირი შვილი ჭიჭიკო ბენდელიანი. მის საფლავზე ამხანაგებმა ძეგლი აღმართეს.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბჭოთა სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გაბედულების გამოჩენისათვის ჭიჭიკო ბენდელიანი სიკვდილის შემდეგ სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.



# გამარჯვებულთა ტრიუმფი

1945 წლის 24 ივნისს ჩვენი დიდი სამშობლოს სახელით მოსკოვმა დაუვიწყარი ზეიმი მოუწყო გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებულ საბჭოთა ჯარებს. ბარენცის ზღვიდან დუნაის ველებამდე გაჭიმული 10 ფრონტის ნაწილებმა და შენაერთებმა გამარჯვების ალლუმზე გამოგზავნეს თავიანთი საუკეთესო მებრძოლები. მოქმედი არმიის ნაკრებმა პოლკებმა, სამამულო ომის ყველაზე გამოჩენილი გმირებისაგან რომ იყვნენ შედგენილნი, თავ-თავისი მეთაურებით, სახელმოხვეჭილი გენერლებითა და მარშლებით, ტრიუმფული მარშით გაიარეს წითელ მოედანზე. დიდებით მოსილი დროშების ქვეშ მიაბიჯებდნენ მამულის ღირსეული შვილები, ჯან-ღონით აღსავსენი. მათ ესალმებოდა ხალხი, ესალმებოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მათ პატივსაცემად ქუხდა ქვემეხების ბათქი, მათ სადიდებელს უკრავდნენ ორკესტრები. ასეთი იყო ტრიუმფატორთა სვლა, საბჭოთა სახელმწიფოსა და მის ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალთა ძლიერების დემონსტრაცია.



გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე 1945 წლის 24 ივლისს. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან. საბჭოთა ადამიანების ფერხთით დაყარეს ჩვენმა მეომრებმა ჰიტლერული არმიის შავსვასტიკიანი დროშები.

1941 წლის მრისხანე ნოემბერში ამ მოედნიდან მიემართებოდნენ საბჭოთა ჯარები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ახლა კი ბრძოლის ველიდან სახელოვნად დაბრუნებულმა ამ ჯარებმა აქ, წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმთან, საბჭოთა ადამიანების ფერხთით დაყარეს განადგურებული ჰიტლერული არმიის შავსვასტიკიანი დროშები. საბჭოთა არმია მშობელი ხალხის წინაშე წარდგა, როგორც ყველაზე ძლიერი არმია მსოფლიოში. ეს მან გაათავისუფლა ფაშისტურ უღელქვეშ მგმინავი ევროპის სახელმწიფოები. მან ესეს არის გაანადგურა ან ტყვედ ჩაიგდო ჰიტლერული არმიები, ხოლო მათი საომარი ტექნიკა ლითონის ნამსხვრევის გორებად აქცია, მათი საბრძოლო დროშები ჩვრების გროვად დააწყო გამარჯვებულთა წინაშე. საბჭოთა ხალხი, რომელიც უყურებდა თავის არმიას, ხედავდა, წინანდელთან შედარებით რაოდენ გაძლიერებული გამოვიდა ომიდან მთელი ჩვენი ქვეყანა.



# ომი დამთავრდა!..

ჭაბუ მებურიშვილი

I

იმ მრავალი სიმღერიდან
ეს სიმღერა მახსოვს მხოლოდ:
ვაიმე ჩემო ვენახოო,
სამ წელიწადს ვერ გნახოო.
სიმღერაო, დარდმა გზარდა,
სიმღერაო, მძლეთა მძლეო...
შორი გზა და...
შორი გზა და...
შორი გზა დამილოცეო.
მიდიოდნენ ჭაბუკები,
პირტიტველა ყმაწვილებიც.
ვაცილებდით მამებს, ბიძებს,
ძმებს და...
დებსაც ვაცილებდით.
,,არ მიდარდოთ'' —
გვიბარებდნენ.
,,თავს უფრთხილდით'' —
ვაბარებდით.
,,თამარია არ გათხოვდე'',
,,გიერთგულებ სამარემდი''.
,,კერია არ გამიციო,
ბავშვები არ მომიმშიო''.
,,არც ამ ბიჭებს მოგიშივებ,
არც იმ ფუძეს მოგიშლიო''.
იმ მრავალი სიმღერიდან
ეს სიმღერა მახსოვს მხოლოდ:
ვაიმე ჩემო ვენახოო,
სამ წელიწადს ვერ გნახოო.
ოთხი წელიც რომ გავიდა,
ბევრმა მერეც ვერ იხილა
საკუთარი ეზო-კარი
და ვენახი რქა-გრეხილა.

II

ველოდებოდით.
გვიანამდე არ ვიძინებდით:
იქნებ მოვიდეს.
(მომლოდინეს ლოდინი მართებს).
ველოდებოდით.
დიდ-პატარა შევციცინებდით
ყოფნა-არყოფნის
შუა მთრთოლავ
იმედის სანთელს.
აქ პურს ვნატრობდით,
(ვის ახსოვდა ჩაცმა და მოდა).
ვთესდით და ვმკიდით,
ფრონტულ ბარათს —
ნატვრას ვკოცნიდით.
იქ ოთხი წელი
ციდან მიწა წვიმდა და თოვდა.
აფეთქებული ბომბებისგან
ზეატყორცნილი.
სამშობლო რომ არ გაეთელა
ოხერს და ტიალს —



ასგან დაჭრილი
სასწაულით ფეხზე დგებოდა...
მამულისათვის მკერდს უშვერდა
მომხდურის ტყვიას,
სიყვარულიდან
გამარჯვება იბადებოდა.
გზას უღობავდნენ გადამთიელს
კლდენიც და ღრენიც,
ცას მიბჯენილი
ათასობით მთა — ჩვენებური;
იბრძოდნენ ხენიც,
ბიჭებივით იბრძოდნენ ხენიც,
ჭურვთა ნამსხვრევით
ჟირაფივით აჭრელებულნი.
დიდხანს ველოდით,
ველოდით და არ ვიძინებდით:
იქნებ მოვიდეს,
(მომლოდინეს ლოდინი მართებს),
ველოდებოდით.
დიდ-პატარა შევციცინებდით
ყოფნა-არყოფნის შუა მთრთოლავ
იმედის სანთელს.
გმირობამ გვიხსნა,
თავგანწირვამ
ჯავრი იყარა...
ვერ გაიხარა,
მტერმა ჩვენზე ვერ გაიხარა!

III

ომი დამთავრდა!
— ეს ორი სიტყვა
ეალერსება სულსა და სმენას.
ომი დამთავრდა! —
ეს ორი სიტყვა
გაისმის სირთა ჭიკჭიკად, სტვენად.
ომი დამთავრდა! —
მუხის აკვნიდან
დედას შესცინის სიცოცხლე თოთო.
ომი დამთავრდა! —
გადუჩურჩულა
ბალახმა — ბალახს,
ფოთოლმა — ფოთოლს,
ომი დამთავრდა! —
გადმოუძახა
ვეება ვოლგამ რიონს და არაქსს...
ომი დამთავრდა,
ომი დამთავრდა,
ხალხის სიხარულს საზღვარი არ აქვს.
ცალი თვალით რომ უღიმის მაისს,
მეორე თვალში უბრწყინავს ცრემლი...
შენი დაბრუნდა,
მისი არა ჩანს,
ეგება მისიც გამოჩნდეს... ელის.
ქარი ატოკებს ნაომარ ალმებს
და თბილი ფრთებით თეთრ ნისლებს
წეწავს.
ომი დამთავრდა!
ჩვენ გავიმარჯვეთ
და ყვავილებით ივსება ზეცა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა



# ალექსანდრე პოკრიშკინი

საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი ალექსანდრე ივანეს ძე პოკრიშკინი ჯერ კიდევ პიონერი იყო, როცა მის რაზმში მოხდა შემთხვევა, რომელიც მომავალ სახელგანთქმულ მფრინავს სამუდამოდ დაახსომდა. რაზმის ერთ-ერთი შეკრების დროს, პიონერულ ხაზზე ჩამწკრივებისას, აღმოჩნდა, რომ ერთი ბიჭუნა უყელსახვევოდ იყო. ამის გამო შენიშვნა რომ მისცეს, ბიჭი მოიღუშა, ჯიბიდან წითელი ყელსახვევი ამოიღო და გაიკეთა. გამოირკვა, რომ შეკრებისაკენ მომავალს უპატრონო ბავშვები გადასდგომიან წინ, დაუცინიათ და დამუქრებიან: თუ კიდევ შეგეყრებით ყელსახვევიანს, მაგრად მიგბეგვავთო. როცა შეკრება დამთავრდა, ბიჭუნას ამხანაგებმა თან გაყოლა შესთავაზეს, მაგრამ ბიჭმა ითაკილა და მარტო გაუდგა შინისაკენ გზას. ამხანაგები მაინც აედევნენ შორიახლოს. მალე უპატრონო ბავშვების ჯგრო კვლავ შეეყარა ბიჭს. ატყდა ცემატყეპა. პიონერები მიეხმარნენ ამხანაგს. ასე განმეორდა რამდენსამე დღეს. ბოლოს, უპატრონო ბავშვების მეთაურმა გაკვირვებით იკითხა: „რატომ იცავთ წითელ ყელსახვევს ასე? ყოველდღე უწყალოდ გცემთ, თქვენ კი მაინც არ იხსნით, რა ხეირი გაქვთ ამისაგან?“ გაიმართა საუბარი, რომლის შემდეგაც უპატრონო ბავშვების უმეტესობა პიონერთა რიგებს მიემატა.

ამ ამბავმა წარუშლელი კვალი დატოვა ა. პოკრიშკინის სულში. და როცა რაიმე სიძნელეს წააწყდებოდა, თვალწინ წარმოუდგებოდნენ უპატრონო ყმაწვილების მიერ ნაცემ-ნაბეგვი, მაგრამ პიონერთა ღირსების მედგრად დამცველი პიონერები. მათ უთანასწორო შეტაკებაში უხდებოდათ ჩაბმა, მიუხედავად ამისა საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს! მაშასადამე, შენი ღირსების დასაცავად ყოველ დღეს, ყოველ საათს უნდა იბრძოლო, სადაც უნდა იყო და რასაც უნდა აკეთებდე. მხოლოდ ასეთი ადამიანები არიან პატივისცემის ღირსნი. პოკრიშკინის მთელი ცხოვრებაც სწორედ ამ ჭეშმარიტების დადასტურებაა.

იმ ავიაპოლკს, რომელშიც ა. პოკრიშკინი მსახურობდა, ომის დაწყებამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვართან, მდინარე პრუტის პირას მდებარე აეროდრომზე მოუსწრო. აქვე მოუხდა მას პირველი საჰაერო ბრძოლის გადატანა — მტრის ხუთ თვითმფრინავთან შეტაკება, რომლის დროსაც ერთი თვითმფრინავი ალმოდებული გაისტუმრა მიწისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1943 წელს ყუბანში მოპოვებული საბრძოლო წარმატებებისათვის ალექსანდრე პოკრიშკინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, კურსკის რკალთან გაჩაღებული ბრძოლების დროს განსაკუთრებული სიმამაცის გამოჩენისათვის მისი მკერდი „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედალმა დაამშვენა. ხოლო 1944 წლის 20 აგვისტოს ა. პოკრიშკინი „ოქროს ვარსკვლავის“ მესამე მედლით დაჯილდოვდა. უმაგალითო გმირობის, შემართების წყალობით იგი პირველი გახდა საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი.

შემდეგ კვლავ გააფთრებული ბრძოლები... ცნობილი ოპერაცია ვისლა-ოდერი... იერიში ბერლინზე... პრაღის განთავისუფლება...

დიდი სამამულო ომის განმავლობაში პოკრიშკინმა მოახდინა 560 საბრძოლო გაფრენა, 156 საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 59 თვითმფრინავი.

1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ გამარჯვების აღლუმზე პოლკოვნიკ ა. პოკრიშკინს მოჰქონდა სახელოვანი უკრაინის 1-ლი ფრონტის საბრძოლო დროშა.

ალექსანდრე პოკრიშკინი ამჟამად ავიაციის მარშალი და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელია.

# მასობრივი გმირობა

● დიდ სამამულო ომში ჯარისკაცების, სერჟანტების, ოფიცრებისა და გენერლების მასობრივ გმირობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 7 მილიონზე მეტი მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის ორდენები მიიღო 5.300 ათასმა, მათ შორის ლენინის ორდენი — 8800-მა, წითელი დროშისა — 238 ათასმა, სამამულო ომის 1-ლი ხარისხისა — 324 ათასმა, დიდების 1-ლი ხარისხისა — 2457-მა, მე-2 ხარისხისა — 46 ათასმა, მე-3 ხარისხისა — 868 ათასმა. ოპერაციების, ბრძოლების მამაცური და უნარიანი ხელმძღვანელობისათვის ბევრი გენერალი და ოფიცერი დაჯილდოვდა სუვოროვის, უშაკოვის, კუტუზოვის, ნახიმოვის, ბოგდან ხმელნიცკის, ალექსანდრე ნეველის ორდენებით.

● სამამულო ომის წლებში 300 მებრძოლმა გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა, მფრინავი კაპიტნის ნ. გასტელოს გმირობა — 74 საბჭოთა შევარდენმა. 200-მდე მფრინავმა, ვ. ტალალიხინის მსგავსად, განახორციელა საჰაერო ტარანი.

● სამშობლომ 11.603 მეომარს მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, მათგან 104 საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი გახდა. ს. ბუდიონს, ი. კოჟედუბს და ა. პოკრიშკინს ეს წოდება სამჯერ მიენიჭათ, გ. ჟუკოვს — ოთხჯერ. საბჭოთა კავშირის გმირები ჩვენი ქვეყნის 100 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები არიან. ეს დიდი წოდება მინიჭებული აქვს უცხო სახელმწიფოთა 15 მოქალაქეს.

● ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა მოსკოვმა 347-ჯერ აღნიშნა სალუტით ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის ჯარებზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

„ყველანი დაიხოცნენ. დარჩა მხოლოდ ტანია“.

ტანია სავიჩევას დღიურიდან, ლენინგრადი, 1942 წელი.



ი. იაკოვლევი

მხატვარი
რ. ცუცქირიძე

მოთხრობა

# ვასილის-კუნძულელი გოგონები

მე ვალია ვარ, ზაიცევა. ვასილის კუნძულზე ვცხოვრობ. საწოლქვეშ პატარა ზაზუნა მყავს. გამოიტენის ხოლმე პირს საჭმელით, უკანა ფეხებზე დაცუცქდება და მიყურებს გიშერივით შავი, ბრჭყვიალა თვალებით. გუშინ ერთი ბიჭი ლაზათიანად მივტყიპე, ისეთი სილა გავაწანი, რომ... ჩვენ, ვასილისკუნძულელმა გოგონებმა როცა საჭიროა გამოსარჩლებაც ვიცით... ჩვენთან, ვასილის კუნძულზე, ყოველთვის უბერავს ქარი, ცრის წვიმა და თოვლჭყაპია. წყალდიდობაც იცის. და მიცურავს ჩვენი კუნძული გემივით. მარცხნივ ნევაა, მარჯვნივ — ნევკა, წინ კი — გაშლილი ზღვა.

ერთი მეგობარი გოგო მყავს — ტანია სავიჩევა. მეზობლები ვართ. მისი სახლი მეორე ხაზზეა, 13 ნომერში, ოთხი ფანჯარა გამოდის პირველ სართულზე. გვერდით საფუნთუშეა, სარდაფში კი ნავთს ყიდიან... ახლა აღარ არის ნავთი, მაგრამ ტანიას დროს, როცა ჯერ მე დაბადებულიც არ ვიყავი, პირველ სართულზე მუდამ ნავთის სუნი იდგა თურმე. ეს მე სხვების ნაამბობით ვიცი.

მაშინ ტანია სავიჩევა ზუსტად იმდენივე წლისა იყო, რამდენისაც მე ვარ. დღეს კი, რომ ეცოცხლა, უკვე დიდი იქნებოდა, თანაც მასწავლებელი. მაგრამ სამუდამოდ გოგონად დარჩა... როცა ბებია ნავთზე გზავნიდა; მე ჯერ კიდევ არ ვარსებობდი. რუმიანცევის ბაღშიც სხვა მეგობარ გოგოსთან ერთად დადიოდა. მაგრამ მაინც ყველაფერი ვიცი მასზე, იმიტომ, რომ მიამბეს.

ღიღინა გოგო ყოფილა, თურმე სულ მღეროდა. ძალიან უყვარდა ლექსების მხატვრულად კითხვა. მაგრამ ზოგ სიტყვაზე ენა ებმოდა. მსმენელებს კი ეგონათ, საჭირო სიტყვა დაავიწყდაო. ამიტომაც სულ მღეროდა: სიმღერის დროს ენა აღარ ებმით. მისი ენაბლუობა კი არაფრით არ შეიძლებოდა, ვინაიდან ლინდა ავგუსტოვნასავით მასწავლებელი უნდოდა გამოსულიყო.

ძალიან უყვარდა მასწავლებლობანას თამაში. მოისხამდა ბებიის დიდ თავშალს, ხელებს გულზე გადაიჯვარედინებდა და კუთხიდან კუთხეში ბოლთის ცემას მოჰყვებოდა. „ბავშვებო, დღეს ჩვენ გავიმეორებთ...“ — იტყოდა და უცებ ენა დაებმებოდა. გოგონა წითლდებოდა და კედლისაკენ მიბრუნდებოდა, თუმცა ოთახში სხვა არავინ იყო.

გაგონილი მაქვს, ვიღაც ექიმი ენაბლუობას არჩენსო. მე უთუოდ ვიპოვიდი იმ ექიმს. ჩვენ, ვასილისკუნძულელმა გოგონებმა ვინ გინდათ, რომ არ ვიპოვოთ! მაგრამ ექიმი ახლა უკვე საჭირო აღარ არის. იქ, შორეულ წარსულში დარჩა იგი... ჩემი მეგობარი ტანია სავიჩევა. ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან იგი დიდ მიწაზე წაიყვანეს, მაგრამ სიცოცხლის გზამაც ვეღარ უშველა. ფაშისტებმა მოკლეს. განა ტყვიით, ანდა ყუმბარით, არა — შიმშილით. მაგრამ განა სულ ერთი არ არის, რით მოკლავ ადამიანს? ვინ იცის, იქნებ ტყვიით ისე მტკივნეული არ არის, როგორც შიმშილით?...

გადავწყვიტე, „სიცოცხლის გზა“ მომეძებნა. რჟევისკენ გავსწიე, სადაც ეს გზა იწყება. ორნახევარი კილომეტრი რომ გავიარე, დავინახე, ბავშვები ბლოკადაში დაღუპულ თანატოლებს ძეგლს უგებდნენ. მეც მომინდა მონაწილეობის მიღება.

ვიღაც უფროსებმა მკითხეს:

— შენ ვინა ხარ?

— მე ვალია ზაიცევა ვარ, ვასილის კუნძულიდან. მეც მინდა ავაგო.

არ შეიძლებაო, — მითხრეს, — შენს რაიონთან ერთად მოდიო.

მაინც არ მოვეშვი. მივიხედ-მოვიხედე და ერთი პატარა, თავკომბალა ბიჭი დავინახე. ახლა ამას ჩავეჭიდე.

— ესეც თავის რაიონთან ერთად მოვიდა?

— იგი თავის ძმას მოჰყვა.

თურმე ძმასთან ერთად შეიძლება. რაიონთანაც. ვინც მარტოა, იმას რაღა ეშველება? მე მათ ვუთხარი:

— მომისმინეთ, მე ხომ ისე, უბრალოდ არ მინდა მონაწილეობის მიღება. მე ჩემს მეგობარს... ტანია სავიჩევას მინდა ძეგლი ავუგო.

მათ თვალები დააჭყიტეს. მერე დაეჭვებულებმა მკითხეს:

— ტანია სავიჩევა შენი მეგობარია?

— რა გიკვირთ? ჩვენ თანატოლები ვართ, ორივენი ვასილის კუნძულიდან გახლავართ.

— მაგრამ იგი ხომ ცოცხალი აღარ არის...

რა გაუგებარი ხალხია! კიდევ იტყვიან, უფროსები ვართო! რა შუაშია



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოცხალი აღარ არის", როცა ჩვენ ვმეგობრობთ? მე მათ გასაგებად ავუხსენი:

— ჩვენ ყველაფერი საერთო გვაქვს: ქუჩაც, სკოლაც. ზაზუნაც კი გვყავს.. გამოიტენის პირს...

შევატყე, მაინც არ სჯეროდათ ჩემი, და გამწარებულმა, ოღონდ ისინი დამერწმუნებინა, წამოვიძახე:

— ჩვენ ხელწერაც კი ერთნაირი გვაქვს!

— ხელწერა?! — კიდევ უფრო გაოცდნენ.

— ჰო, ხელწერა!

ხელწერის გაგონებაზე ისინი გამოცოცხლდნენ.

— ამას რა სჯობს! პირდაპირ აღმოჩენაა. აბა, წამოდი!

— არსად არ წამოვალ! მე მინდა ავაგო...

— ააგებ, ააგებ! შენ ტანიას ხელ-

წერით დაწერ ძეგლზე.

— კარგი, — დავეთანხმე, — ოღონდ ფანქარი არ წამომიღია. მათხოვებთ?

— ბეტონზე უნდა დაწერო. ბეტონზე კი ფანქრით როდი წერენ.

ბეტონზე მე არასდროს არაფერი დამიწერია. კედლებზე მიწერია, ასფალტზე, იმათ კი ბეტონის ქარხანაში წამიყვანეს და ტანიას დღიური მომცეს — ალფაბეტიანი უბის წიგნაკი. მეცა მაქვს ასეთი უბის წიგნაკი. ორი აბაზი ღირს.

გამოვართვი ტანიას დღიური და გადავშალე. წავიკითხე:

„ჟენია მოკვდა 1941 წ. 28 დეკ. დილის 12. 30 საათზე“.

უცბად შემცივდა. მომინდა დღიური უკან დამებრუნებინა და იქაურობას გავცლოდი.

მაგრამ მე ხომ ვასილისკუნძულელი ვარ. ჰოდა, რაკი მეგობარს უფროსი და გარდაეცვალა, კი არ უნდა მივატოვო, მასთან უნდა დავრჩე.

— მაჩვენეთ თქვენი ბეტონი. დავწერ.

ამწუთში ჩემს ფეხებთან დაუშვა უზარმაზარი ყუთი, რომელშიც რუხი ფერის სქელი ცომი იყო. ავიღე ჩხირი, ჩავცუცქდი და წერა დავიწყე. ბეტონი გრილი იყო. წერაც მიჭირდა, მეუბნებოდნენ, ნუ ჩქარობო.

შეცდომები მომდიოდა, მაგრამ ბეტონს ხელისგულით ვასწორებდი და ისე ვწერდი. ცუდად გამომდიოდა.

ნუ ჩქარობ, მშვიდად წერეო, — ისევ მეუბნებოდნენ.

„ბებია მოკვდა 1942 წ. 25 იანვარს, დღის 3 ს.“

სანამ მე ჟენიაზე ვწერდი, ბებია გარდაცვლილიყო.

როცა უბრალოდ ჭამა მოგინდება, ამას შიმშილი არა ჰქვია — ერთი საათით გვიან შეჭამ და ამით გათავდება ყველაფერი. ერთხელ ვცადე, დილიდან საღამომდე მეშიმშილა და გავუძელი. შიმშილი იმასა ჰქვია, როცა რამდენიმე დღის განმავლობაში შიმშილობს თავი, ხელები, გული... ყველაფერი, რაც კი გაგაჩნია, შიმშილობს. ჯერ შიმშილობს, მერე კი კვდება.

„ლიოკა მოკვდა 1942 წ. 17 მარტს, დილის 5 საათზე“.

ლიოკას კარადებით შემოფარგლული თავისი კუთხე ჰქონდა, იქ ხაზავდა ხოლმე. ფულს შოულობდა ხაზვით და თან სწავლობდა. წყნარი, ახლომხედველი, სათვალიანი ბიჭი იყო, გამუდმებით ხაზკალამს აწრიპინებდა იმ თავის კუთხეში. ესეც მიამბეს. სად მოკვდა იგი? ალბათ, სამზარეულოში, სადაც პატარა ორთქლმავალივით სუსტად ბოლავდა „ბურჟუიკა“, სადაც ეძინათ და, უკვდავების წამალივით, დღეში ერთხელ ჭამდნენ პატარა ნატეხ პურს. ლიოკასათვის კი აღარ დარჩა ეს წამალი...

— წერე, — მითხრეს წყნარად.

ახალ ჩარჩოში ჩასმული ბეტონი თხელი იყო, ასოებზე გადმოდიოდა და სიტყვა „მოკვდა“ გადაფარა. აღარ მინდოდა მისი ხელახლა დაწერა, მაგრამ მითხრეს:

— წერე, ვალია ზაიცევა, წერე.

და მეც ხელახლა დავწერე „მოკვდა“.

„ძია ვასია მოკვდა 1942 წ. 13 აპრ. ღამის 2 ს“.

„ძია ლიოშა — 1942 წ. 10 მაისს, დღის 4 ს“.

ძალიან დავიღალე ამდენი „მოკვდას“ წერით. ვიცოდი, რომ დღიურის ყოველი გვერდის შემდეგ ტანია სავიჩევა თანდათან ცუდად ხდებოდა. დიდი ხანია აღარ უმღერია, აღარც იმას ამჩნევდა, რომ ენა ებმოდა. აღარც მასწავლებლობანას თამაშობდა. მაგრამ მაინც ფარ-ხმალს არ ყრიდა — ცოცხლობდა. ასე მიამბეს...

დადგა გაზაფხული. ხეები ამწვანდა, ჩვენთან, ვასილის კუნძულზე, ძალიან ბევრი ხეა. ტანია ჩამოხმა, ჩხირივით წვრილი და მსუბუქი გახდა. ხელები უცახცახებდა და მზის შუქისაგან თვალები ეწვოდა. ფაშისტებმა ნახევარი ტანია სავიჩევა უკვე მოკლეს, ანდა, ვინ იცის, იქნებ ნახევარზე მეტიც. მაგრამ დედა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა და ისიც უძლებდა.

— რატომ აღარ წერ? — წყნარად მკითხეს. — წერე, ვალია ზაიცევა, თორემ ბეტონი გამაგრდება.

დიდხანს ვერ გავბედე ასო M-ით აღნიშნული გვერდის გადაშლა.

ამ გვერდზე ტანიას ხელით ჩაწერილი იყო:

„დედა — 1942 წლის 13 მაისის დილის 7.30 ს“.

ტანიას არ დაუწერია სიტყვა „მოკვდა“. ძალა აღარ ეყო მის დასაწერად.

მაგრად მოვუჭირე თითები ჩხირს და ბეტონს შევახე. დღიურში არ ვიყურებოდი, ზეპირად ვწერდი. რა კარგია, რომ ერთნაირი ხელწერა გვაქვს. მთელი მონდომებით ვწერდი. ბეტონი გასქელდა, თითქმის გაქვავდა. ასოებზე აღარ გადადიოდა.

— კიდევ შეგიძლია წერა?

— დავამთავრებ, — ვთქვი და შევბრუნდი, რომ ჩემი ცრემლი არ დაენახათ. — ტანია სავიჩევა ხომ... ჩემი მეგობარია.

მე და ტანია თანატოლები ვართ და, ჩვენ, ვასილისკუნძულელმა გოგონებმა, როცა საჭიროა, ვიცით გაძლება. ის რომ ვასილისკუნძულელი, ლენინგრადელი არ ყოფილიყო, ასე დიდხანს ვერ გაძლებდა. მაგრამ იგი ცოცხლობდა! მაშასადამე, არ ნებდებოდა!

გადავშალე გვერდი, C. იქ ორი სიტყვა ეწერა: „სავიჩევები დაიხოცნენ“. გადავშალე გვერდი B — ეწერა: „ყველანი დაიხოცნენ“. ტანია სავიჩევას ბოლო გვერდი ასო O-ზე იყო: „დარჩა მხოლოდ ტანია“.

უეცრად წარმოვიდგინე, რომ მე დავრჩი მარტოდმარტო: უდედოდ, უმამოდ, დაიკო ლიუსკას გარეშე, მშიერ-მწყურვალი. გარეთ ბომბები ცვივა, მე კი მარტო ვარ ბინაში, მეორე ხაზზე. მომინდა, გადამეხაზა ეს ბოლო გვერდი, მაგრამ ბეტონს უკვე მოესწრო გამაგრება და ჩხირი გადატყდა.

უცებ ჩემს გულში ტანია სავიჩევას ვკითხე: „მარტო რატომ? მერე მე? შენ ხომ მეგობარი გყავს — ვალია ზაიცევა, შენი მეზობელი ვასილის კუნძულიდან. მე და შენ ერთად წავალთ რუმიანცევის ბაღში, ვირბენთ იქ. ხოლო როცა მოგვწყინდება, შინიდან ბებიის თავშალს მოვიტან და მასწავლებელი ლინდა ავგუსტოვნა ვიქნებით ხან მე და ხან შენ. შინ მე საწოლქვეშ ზაზუნა მყავს. იმას შენ გაჩუქებ დაბადების დღეს, გესმის, ტანია სავიჩევა?“

ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— წავიდეთ, ვალია ზაიცევა. რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთე. მადლობელი ვართ.

ვერ გავიგე, რისთვის მიხდიდნენ მადლობას, და ვთქვი:

— შეიძლება ხვალაც მოვიდე... ჩემი რაიონის გარეშე?

მოდი, ურაიონოდ, მოდიო, — მითხრეს.

ჩემი მეგობარი ტანია სავიჩევა არც ფაშისტებს ესროდა და არც პარტიზანების მზვერავი იყო. იგი ჩვეულებრივ ცხოვრობდა მშობლიურ ქალაქში ყველაზე ძნელბედობის დროს. მაგრამ იქნებ ფაშისტები იმიტომაც ვერ შევიდნენ ლენინგრადში, რომ იქ ტანია სავიჩევა და ბევრი სხვა გოგონა და ბიჭუნა ცხოვრობდა, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ წარსულში. დღევანდელი ბავშვები კი მათთან მეგობრობენ, როგორც მე — ტანიასთან. მეგობრობა კი, როგორც ვიცით, მხოლოდ ცოცხლებთან შეიძლება.

...და მიცურავს კუნძული გემივით: მარცხნივ ნევაა, მარჯვნივ — ნევკა, წინ კი ზღვა გაშლილა.

თარგმნა მარინე სოხაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №12

# მედდა — დომნა ბრეგვაძე

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში გაზრდილ ქალიშვილს, მედიცინის უფროს სერჟანტს — დომნა ბრეგვაძეს ომმა აზერბაიჯანის ქალაქ ნახიჩევნის შახბუკის რაიონში მოუსწრო, სადაც სამედიცინო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა.

ომის დაწყების დღესვე დ. ბრეგვაძე თავისი სურვილით გამოცხადდა ნახიჩევნის კომისარიატში. იმავე დღეს მედიკო სანიტარულ ათასეულში გაგზავნეს, სადაც საოპერაციო ექთანად დაიწყო მუშაობა. მონაწილეობა მიიღო საბჭოთა არმიის ირანის ოპერაციებში. ირანიდან დაბრუნებული ეშელონი პირდაპირ ფრონტისაკენ წავიდა. დონბასი, ხარკოვი, კიევი, დონი, სტალინგრადი... ასე დაიწყო 23 წლის ქალიშვილისათვის საფრონტო ცხოვრება.

საშინელი იყო ბრძოლის ველზე დაჭრილთა ხვედრის ცქერა, მათი ჭირ-ვარამის გაზიარება. ვინ მოთვლის, რამდენი დაჭრილისათვის უშველია, რამდენი მათგანისათვის უთენებია ღამე, უნუგეშებია.

— ერთხელ, სხვა სამ კომკავშირელ ქალიშვილთან ერთად, ღამე პატრულად დავდექი სოფელ დიმიტრეევკაში, გზაჯვარედინზე — იგონებს ომგადახდილი. — იმ ღამეს ჩვენი დივიზიის არტილერიამ ადგილი გადაინაცვლა. ძალიან შორიდან ისმოდა არტილერიის მოძრაობის ხმა. ამ დროს, უცებ, სიბნელეში მამაკაცის სამი აჩრდილი გამოჩნდა. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, გამბედაობა მოვიკრიბე, შევძახე: — საშვი! და იარაღმომარჯვებული სამ ლანდს წინ გადავუდექი. უსიტყვოდ ასწიეს ხელები. სამივე წინ გავიგდე და უკან გავყევი. როგორც იქნა, მივაღწიე სამორიგეომდე. ძელმიწურში რომ შევედით ელდა მეცა. ჩვენს წინ ლაბადამოსხმული, ხელებაწეული დივიზიის მეთაურები — გენერლები იდგნენ. პატრულების შესამოწმებლად დადიოდნენ თურმე. ამ „ოპერაციისათვის“ მადლობა და მედალი „მამაცობისათვის“ დავიმსახურე.

ვერაფერს ძალუძს ომის საშინელების დავიწყება, მაგრამ ადამიანს დიდი გაჭირვების ჟამსაც შესძლებია სიხარული. ასე იყო, როცა, 1943 წელს პარტიის რიგებში მიმიღეს ზედ ფრონტის ხაზზე.

მედიცინის უფროს სერჟანტს დომნა ბრეგვაძეს ომის გაუთავებელ გზაზე ბევრჯერ ჩაუხედავს იმედდაკარგული ადამიანის თვალებში, მათი მძიმე ხვედრი გაუზიარებია, დედობაც გაუწევია მათთვის და დობაც...

დომნა ბრეგვაძე, ეს მრავალჭირგამოვლილი ქალი, დღეს ქ. ცხაკაიაში სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მედდა, სტატისტიკოსად მუშაობს და დღესაც დიდი თავდადებით აკეთებს თავის საქმეს. მის მკერდზე მოკიაფე ორდენები და მედლები კი მისი კაიქალობისა და საბრძოლო დამსახურების ამსახველია.

ჩაიწერა. ქ. ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე
თენგიზ ჩიქოვავამ.

„აისის“ ეს ნომერი ძირითადად ეთმობა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მოგონებებს, რომლებიც ჩაიწერეს „ვიქტორინა კონკურსში“ მონაწილეებმა და დროულად მიაწოდეს რედაქციას. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება „პიონერის“ № 6-ში.

## უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

ვინ იცის, სადური ხარ,
სად დაგეწია მტრის ტყვია,
უცხო მხარეში დაეცი,
შენზე ლეგენდებს იტყვიან,

ვინ იცის როგორ იბრძოდი,
მტერს როგორ ედექ მედგრადა,
როგორ გმირავდი მათ გულებს
და ეცემოდი მეხადა.

ვინა ხარ, სად დაიბადე?
ვისი რძით გამოზრდილი ხარ?
არა, შენ უცხო არა ხარ,
შენ ყველა დედის შვილი ხარ!

ნატო კოჭლამაზაშვილი,
ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## როცა იმ დღეებს ვიგონებ

1941 წლის აგვისტოში გამიწვიეს წითელი არმიის რიგებში. ქ. ოდესაში მოგვიხდა მე და ჩემს ამხანაგებს პირველი ბრძოლა ფაშისტებთან. ფრონტის ხაზზე 2 თვე და 10 დღე დავყავი, მერე ჩვენი ნაწილი სევასტოპოლში გადაიყვანეს.

მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ესხ-

მოდა თავს საბჭოთა გემებს, რომლებსაც გადაჰყავდათ ჯარები, ეზიდებოდნენ იარაღს, სურსათ-სანოვაგეს... ჩვენც ჩაგვსხეს გემებში, მაგრამ ღამის 2 საათზე მტერმა ჩვენი გემი ოთხჯერ დაბომბა. მხოლოდ 72 მეომარი გადავრჩით, დანარჩენები დაიღუპნენ. მეც დავიჭერი და 25 დღე ჰოსპიტალში ვიწექი. გამოჯანსაღებისთანავე ისევ მივაშურე ფრონტს, რათა შური მეძია დაღუპული ამხანაგებისათვის. ამჯერად ტყვედ ჩავვარდი. ჩაგვიყვანეს ავსტრიაში. მოვხვდით მადჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში.

ძნელია იმ დღეების მოგონება, რაც ვნახე და განვიცადე.

მალე იქიდან, სხვა ტყვეებთან ერთად, იტალიის ქ. უდინაში გამგზავნეს. იქ სარკინიგზო გვირაბის გაყვანაზე ვმუშაობდით. რამდენიმე კაცმა გაქცევა მოვახერხეთ, მაგრამ დაგვიჭირეს. შემდეგ იუგოსლავიის საკონცენტრაციო ბანაკში... ისევ ტანჯვა, წამება, ცრემლი, შიში, შიმშილი.

მარტის თვე იყო.

ერთხელ 25 კაცი წაგვიყვანეს ტყეში შეშის დასამზადებლად, გადავწყვიტეთ გაქცევა. ამოვხოცეთ მცველები, ხელთ ვიგდეთ მათი იარაღი და ტყეს შევაფარეთ თავი. 7 დღის ხეტიალის შემდეგ იუგოსლაველ პარტიზანთა რაზმს შევუერთდით. მათ ძმასავით მიგვიღეს.

გაუგონარ გამბედაობას, სიმტკიცეს ვიჩენდით ჩვენ, ქართველი პარტიზანები იუგოსლავიაში. არაერთგზის მოვაწყეთ თავდასხმა მტრის კოლონებზე, ვხვდებოდით გზაზე ფაშისტებს და ვხოცავდით, ვაფეთქებდით ხიდებს, საწყობებს, ეშელონებს.

შალვა წყაროზიამ ააფეთქა ხიდი;

ვალიკო გერგედავამ ააფეთქა ეშელონი, აფეთქებისას თვითონაც დაიღუპა.

არქიფო ზუხბაიამ გაანადგურა 4 ტანკი და თვითონაც დაიღუპა.

არჩილ ქურდაძემ 16 გერმანელს მოუსპო სიცოცხლე, თვითონ გულში დაიჭრა. გერმანელებმა ხელთ იგდეს დაჭრილი, ხელები, ფეხები, ცხვირი მოაჭრეს, თვალები დასთხარეს და წამებით ამოხადეს სული.

ერთხელ ძმადნაფიც იუგოსლაველ პარტიზანებთან ერთად მე კუნაპეტ ღამეში ხიდი და ტყვია-წამლით დატვირთული ეშელონი ავაფეთქე. ამ ოპერაციის ბრწყინვალედ განხორციელებისათვის იუგოსლავური „მამაცობის ორდენით" დამაჯილდოვეს.

პირადად მე გავანადგურე 2 ტანკი, 4 მანქანა, 2 ხიდი, 1 ეშელონი, 11 სატვირთო მანქანა. 4-ჯერ დავიჭერი. სულ მიღებული მაქვს 7 ჯილდო.

1944 წელს იუგოსლაველ პარტიზანებთან ერთად რომ ვიმყოფებოდით, მტრის სატანკო დივიზიამ ალყა



შემოგვარტყა. იუგოსლაველ პარტიზანებს მეთაურობდა ბროზ ტიტო. 22 დღის განმავლობაში მთელი პარტიზანული რაზმი მტრის ალყაში იყო. ტანკების გარდა 30-მდე თვითმფრინავი ყოველდღე ბომბავდა 47 ათასამდე პარტიზანისაგან შემდგარ რაზმს. ამ გამუდმებულ ბრძოლაში ბროზ ტიტო 4-ჯერ დაიჭრა. 23-ე დღეს ალყა გავარღვიეთ, მაგრამ ბევრი პარტიზანი დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში.

2 წელიწადსა და 8 თვეს ვიბრძოდი იუგოსლაველ პარტიზანებთან. ამ ხნის განმავლობაში ტყვიის წვიმაში ვიყავი და უამრავ ხელჩართულ ბრძოლაშიც მიმიღია მონაწილეობა. ბელგრადში როცა უკრაინის მესამე არმია შევიდა, გადარჩენილი პარტიზანები ჩვენს ნაწილებს შევუერთდით და მტერს ბუნაგამდე ვდიეთ.

ჩემთან ერთად იბრძოდნენ: ყალაბეგაშვილი, ვაშაკიძე, ფიფია (ამათი სახელები არ მახსოვს) შალვა წყაროზია— აბაშის რაიონიდან, ვალიკო გერგედავა — ზუგდიდის რაიონის სოფელ ფახულანიდან. არქიპო ზუხბაია — გალიდან (მძიმედ დაიჭრა, მერე არაფერი ვიცი), დიმიტრი რაზმაძე — ამჟამად ცოცხალია, ბორჯომში ცხოვრობს. სტეჩენკო — დივიზიის პოლიტხელი, იურეშიჩი — ათასეულის მეთაური.

ბრძოლა გვიხდებოდა ხორვატიაში, სლოვენიაში, ჩერნოგორიაში, ლუბლიანაში, კრუშინაში.

როცა ვიგონებ იუგოსლავიის ბრძოლებში დაღუპულ ქართველებს, თვალზე ცრემლი მადგება. მათ ხომ უცხო ქვეყანაში ჰპოვეს საფლავი, მაგრამ მათი გმირობის ამბავს, მათს სახელს არასოდეს დაივიწყებს ახალი თაობა — მე ასე მჯერა.

**სევერიან გერგედავა,**

საუბარი ჩაიწერა გალის რაიონის
მუხურის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე **ბადრი გოლანძიამ.**

# ყირიმის მიწა-წყალზე

1941 წლის დეკემბრის დამლევს ტანკებით, ქვემეხებით, დესანტით დატვირთული კრეისერი „სეროვი" ნოვოროსიისკიდან ქერჩისაკენ გაემართა. მედესანტეებს დავალებული გვქონდა ქალაქ ფეოდოსიის განთავისუფლება. 31 დეკემბრის განთიადზე ჩვენი კრეისერი, რომელსაც სხვა სამხედრო ხომალდები ეხმარებოდნენ, მძლავრი საარტილერიო სროლით შევიდა ფეოდოსიის საზღვაო სადგურში. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა. ამოქმედდა მტრის ავიაცია. მოწინააღმდეგის ჭურვებმა კრეისერის ამწე მექანიზმები დააზიანა, რის გამოც საბრძოლო ტექნიკის გადმოტვირთვა შეწყდა. გერმანელები მთელი დღის მანძილზე გვიშენდნენ ბომბებს, მაგრამ მაინც მოხერხდა დაზიანებული მექანიზმების აღდგენა. ხმელეთზე გადმოიტვირთა ტანკები, ქვემეხები, ავტომანქანები. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ქალაქი გავათავისუფლეთ.

ეს იყო ჩემი საბრძოლო ნათლობა.

**აბდულ სულეიმანის ძე ცინცაძის** ნაამბობი
ჩაიწერა **მზია ევგენიძემ,**
მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის VI კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თქვენ მაპატიეთ დანაშაული არდაბრუნების"

### მირზა გელოვანის ხსოვნას

დედამიწა შავ ნაბადს რომ მოიხურავს და იდუმალება გამეფდება, მე მაშინ შენი ლექსების კრებულს ვკითხულობ, მირზა! ვკითხულობ და ვფიქრობ, ძალიან დიდხანს ვფიქრობ...

ერთხელ, ღამის მყუდროებაში მეზმანა: რუსეთის ცივ ტრამალზე მწყობრად მიაბიჯებენ ჯარისკაცები. ისინი მიდიან იქ, სადაც სიცოცხლისა და სიკვდილის, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია. მდუმარებას მხოლოდ მათი ნაბიჯების ხმა არღვევს.

მიწაზე ნისლი ჩამოწოლილა, ოღონდ ნაცრისფერი, ავისმომასწავებელი ნისლი; ჰაერი უსიამოვნო სუნით არის გაჟღენთილი.

მებრძოლებს თვალწინ უდგათ ტკბილი სიზმარივით გამქრალი დღეები და ენით გამოუთქმელ სევდას გრძნობენ.

— შენც იქ მიდიხარ, მირზა! ორთაჭალის ბაღში ნუში აყვავებულა, მთაწმინდა ამწვანებულა. არ მოგენატრა ნაირფერი გაზაფხული საქართველოსი? საქართველო გიხმობს, ნუთუ არ გესმის?

„ეჰ, მომენატრა და მერე როგორ! მე ვფიქრობ საქართველოს მზეზე, ივრის, ალაზნის, არაგვის ტალღებზე; მენატრება ზღვა — ცოცხალი და მღელვარე, მენატრება მთები და ფირუზი ცა საქართველოსი".

— სიცოცხლე გწყურია, გიყვარს, შენ კი ჩქარობ...

„ჩემი გზა მილიონების გზას მიჰყვება და არსად მთავრდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება".

— შენ სიკვდილზე არ ფიქრობ და უსასრულო გზებზე ოცნებობ; შენი მშფოთვარე სული არ კმაყოფილდება ვიწრო ბილიკებით, ვერც ჯანსაღი ფილტვები იტევს ამ ჰაერს; შენ ჯერ კიდევ დაუპყრობელი მწვერვალებისკენ მიისწრაფი. თანაც საბრძოლველად გეჩქარება...

„უკვე მრავალი მებრძოლი დაეცა გმირის სიკვდილით და იმათი სისხლი მაქეზებს ბრძოლისაკენ".

— იქნებ დარჩენა სჯობდეს. ტყვია ბრმაა...

„მე წავალ, გესმის? მე წავალ, წავალ.
ირგვლივ გზებია,
ირგვლივ მთებია,
იმ სიმაღლეზე თუმცა ვერ ავალ,
რომელიც ერთხელ დამსიზმრებია".

— შენსას მაინც არ იშლი! ფრთხილად, არაფერი შეგემთხვეს!

„და სადმე ტყვია თუ გააციებს გულს საშინელი განადგურებით, თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ დანაშაული არდაბრუნების".

ნისლიანი გზა ღამის ბურუსში ჩაიძირა და მე დავინახე სრულიად თეთრი, იდუმალებით მოცული გზა. ამ გზაზე ვეღარ გაიარე, მირზა, შენ მხოლოდ 27 ნაბიჯი გადადგი... რა ცოტა იყო იგი შენთვის!

ახლა ჩვენ მივდივართ ამ გზაზე. იგი აღარ არის მძიმე, რადგან სიცოცხლით არის აღსავსე.

ჩვენ ამ გზას განვაგრძობთ ისევე ღირსეულად, როგორც შენ დაიწყე.

გზას დასასრული აღარ ექნება, ჩვენ მივაღწევთ შენი ოცნებით დაპყრობილ მწვერვალებს და კიდევ უფრო შორს წავალთ.

**რუსუდან ონიანი,**

თბილისის 134-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

# ჩემი მამაცი მასწავლებელი



ისტორიის მასწავლებელს ავთანდილ ხაბურზანიას ჩვენს სკოლაში ყველანი განსაკუთრებულ პატივსა ვცემთ. მან გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში ორივე ფეხი დაკარგა, მაგრამ სულიერი მხნეობა შეინარჩუნა. იგი ხშირად გვიყვება ფრონტის ამბებს. აი რა გვიამბო ერთხელ პატივცემულმა ავთანდილ მასწავლებელმა:

— **1944** წლის შემოდგომაზე უნგრეთის ქალაქ სალნოკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ვმონაწილეობდი. 2 ნოემბერს ჩვენი ნაწილი უჩუმრად განლაგდა ქალაქის გვერდით მიმავალ მდინარე ტისას ნაპირას. ღამის პირველ საათზე საბჭოთა არტილერიამ გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა მდინარის გაღმა მხარეს, სადაც მოწინააღმდეგე გამაგრებულიყო. ჩვენს ასეულს დაევალა პირველს გადაელახა ტისა. შევაცურეთ წყალში ნავები, მოვუსვით ნიჩბები, ტყვიის სეტყვაში გადავცურეთ მდინარე და მტერს ვეკვეთეთ. ამ შეტაკებისას ბევრი ჩემი თანამებრძოლი დაიჭრა. ასეულის მეთაურმა მე და ჩემს ამხანაგს დაგვავალა დაჭრილები ნავით უკანვე გადაგვეყვანა და სამედიცინო პუნქტისათვის ჩაგვებარებინა. სიბნელეში, როგორც იქნა, მოვძებნეთ დაჭრილები და ნავში მოვათავსეთ. მტერმა შეგვნიშნა და ტყვია დაგვაყარა. ნაპირამდე ჯერ კიდევ შორს ვიყავით, რომ ჩემი ამხანაგი დაიჭრა და იქვე ჩაიკეცა. ცხადია, მარტოკა, მხოლოდ ნიჩბით, ვერაფერს გავხდებოდი. იძულებული ვიყავი წყალში გადავმხტარიყავი და ხელის კვრით გამეცურებინა ნავი. დიდი ჯაფის შემდეგ ნაპირს მივაღწიეთ, იქ კი ჩვენი მებრძოლები მომეხმარნენ. დაჭრილები სამედიცინო პუნქტს ჩავაბარეთ.

მეორე დღეს სალნოკი მთლიანად გავწმინდეთ ფაშისტებისაგან. რადგან საბრძოლო დავალება პირნათლად შევასრულე, დამაჯილდოეს მედლით „მამაცობისათვის".

აზა კარტოზია,

ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

# 314 საბრძოლო გაფრენა

1975 წლის 3 იანვარს მორიდებით შევაღე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორის კაბინეტის კარი.

ჩემ წინ იჯდა სახეგაბრწყინებული, სასიამოვნო გარეგნობის, კეთილშობილი ადამიანი, რომლის საბრძოლო ამბებზე წავიკითხე ავიაციის მთავარი მარშლის ა. გოლოვანოვის მიერ 1974 წლის 8 დეკემბერს „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული წერილი.

რევაზ ჩხაიძის საბრძოლო დამსახურების შესახებ ახლობელი ადამიანებისაგანაც მქონდა მოსმენილი. როცა გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი, გაიღიმა და მკითხა:

— დათო, კერძოდ, რა გაინტერესებს გიამბო?

— მინდა ვიცოდე, სად და როგორ ოპერაციებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული და, კერძოდ, რომელი ეპიზოდი დაგახსოვდათ თქვენი ბრძოლებიდან.

— სიამოვნებით, — მიპასუხა და დაიწყო:

— 30 წელიწადი გვაშორებს სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვების დღეს, მიუხედავად ამისა, ომგადატანილი ადამიანის მეხსიერებაში არ იჩრდილება მამაცობის განსაცვიფრებელი მაგალითები.

1941 წელს საავიაციო სკოლის დასრულების შემდეგ მოვხვდი შორს მოქმედ ბომბდამშენ ავიაციაში. სამამულო ომის განმავლობაში მოვახდინე 314 შორეული გაფრენა, მათ შორის 299 — ღამით.

314 გაფრენა ხომ 314 ეპიზოდია, ყველას ვერ გაიხსენებ, ვერ გადმოსცემ. მხოლოდ ერთ დამახასიათებელ ეპიზოდზე შევაჩერებ ყურადღებას.

ეს იყო 1942 წელს. დავალება მივიღეთ დაგვებომბა ერთ-ერთი სამხედრო ობიექტი. ოპერაცია ღამის წყვდიადში მიმდინარეობდა. ვიცოდით, ობიექტი დაცული იყო მტრის დიდი ძალებით და დავალების შესრულება ადვილი არ იქნებოდა. გამოვჩნდით თუ არა ობიექტის თავზე, მაშინვე მოვხვდით პროჟექტორების დამაბრმავებელ შუქში. საზენიტო არტილერიამ ძლიერი სროლა ატეხა, ყუმბარები ჩვენგან რამდენიმე მეტრის მანძილზე სკდებოდნენ. მანევრირებით მივაღწიეთ დაბომბვის წერტილს და დავუშინეთ ბომბები. დამიზნება ზედმიწევნით ზუსტი აღმოჩნდა, ბომბები მიზანში მოხვდა. ობიექტი აფეთქდა და ცეცხლში გაეხვია. ამ მომენტში არტილერიამ სროლა შეწყვიტა. ეს ნიშნავდა, რომ საიერიშოდ მტერმა გამანადგურებლები გამოგზავნა. მართლაც, მარცხენა უკანა მხრიდან ორი „მესერშმიტი“ გამოჩნდა. მათ ძლიერი იერიში მოიტანეს ჩვენზე. მაშინვე ვუპასუხეთ საავიაციო ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერით. ერთ-ერთი გრძელი ჯერის დროს ერთი თვითმფრინავი აფეთქდა და შავ კვამლში გახვეული ძირს დაეშვა, მეორემ თავს უშველა. დავალება უკვე შესრულებული გვქონდა და მხოლოდ ბრძოლიდან გამოსვლა იყო საჭირო. მალე ესეც მოვახერხეთ და ჩვენი აეროდრომისაკენ ავიღეთ გეზი. დამშვიდებულებმა, რომ მტერი უკვე შორს იყო, ვეღარ შევამჩნიეთ, როგორ მოგვეპარა მეორე გამანადგურებელი და მხოლოდ მაშინღა მოვედით გონს, როცა დიდი ჯერით დასერა ჩვენი თვითმფრინავის ფიუზელაჟი. მაშინვე მივვარდი ტყვიამფრქვევს, დავუმიზნე, ერთი ჯერიც დავუშინე, მაგრამ მივხვდი, რომ ტყვიების მარაგი ცოტა იყო და უნდა შემერჩია ისეთი მომენტი, როცა ჩემი გასროლა უტყუარი იქნებოდა. ამიტომ დროებით სროლა შევწყვიტე. მტერი, გათამამებული იმით, რომ არ ვესროდით, მოგვიახლოვდა და ახალი შეტევის წამოწყება მოინდომა, გრძელი ჯერით გავუმასპინძლდი. მტრის თვითმფრინავის ქვედა მხრიდან ფრთისა და ფიუზელაჟის არეში გრძელმა ცეცხლის ენამ გამოანათა. ცოტაც და გამანადგურებელი შავ კვამლში გაეხვია. გადაბრუნდა და ალმოდებული დაეშვა მიწისაკენ. მხოლოდ ამის შემდეგ შევამჩნიე, რომ თავში ვიყავი დაჭრილი და სახე სისხლით მქონდა შეღებილი. როცა ჩვენს აეროდრომზე დავეშვით და თვითმფრინავი დავათვალიერეთ, იგი საცერივით დაცხრილული იყო. ყველას უკვირდა, როგორ გადავრჩით ცოცხლები.

**ომის ვეტერანის რევაზ ჩხაიძის ნაამბობი ჩაიწერა ქ. სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე დავით თევზაძემ.**

## ტანკები ზვინებში

ეს შემთხვევაც ჩრდილო კავკასიაში მოხდა. მინდვრად თივის ზვინები იდგა. გავიხედეთ ერთ დილას და ზვინები წინ წამოწეული გვეჩვენა. მათი ადგილმდებარეობა მოვინიშნეთ. მეორე დილით ვხედავთ, ზვინები კიდევ წინ არის წამოწეული. მივხვდით, მტერი რაღაც ოინს ამზადებდა. კარგად გავმართეთ იარაღი და თივის ზვინებს დავცხეთ. ალმოდებული ზვინებიდან მალე გერმანელები გამოცვივდნენ. თურმე, ფაშისტებს ტანკები თივის ზვინებით შეენიღბათ და ისე ცდილობდნენ ჩვენს პოზიციებთან მოსვლას. არც ერთი ტანკი და გერმანელი უკან აღარ გაგვიშვია.

## წერილი ხარის რქაზე

მდინარე ბაქსანის მიდამოებში ვიყავით განლაგებული. გამუდმებით ვადევნებდით თვალს მტრის პოზიციას. ერთ დილას გავხედეთ და რას ვხედავთ! გერმანელთა პოზიციებიდან ხარები გამოდენეს და მდინარე ბაქსანში შემორეკეს. ხარებს რქებზე თეთრი ქაღალდები ჰქონდათ შემოხვეული. გავვოცდით. როცა ხარებმა მდინარე გადმოლახეს, ქაღალდები მოვხსენით და წავიკითხეთ: „თქვენ ხორცი გენატრებათ და აჰა, მიირთვით!“ პოლკის მეთაურმა გეთიამ ჩაიღიმა და თქვა: „როდის იყო გერმანელები ჩვენს საკვებზე ზრუნავდნენ? აქ სხვა ამბავია. მტერმა ამ ხარებით გაიგო, რომ ამ ადგილას მდინარე თავთხელია და ტანკები იოლად გადავლენ. სატანკო შეტევაა მოსალოდნელი“.

თავდასაცავად მოვემზადეთ და მართლაც, მოშუადღევდა თუ არა, გერმანელთა ტანკები მოადგნენ ბაქსანს. მზად ვიყავით და დავცხეთ. მტრის სატანკო შეტევა ჩაიფუშა. ამ ოპერაციის შემდეგ ათობით დაღეწილი ტანკი დარჩა ბაქსანის სანაპიროზე.

**სამამულო ომის მონაწილის შალვა თომას ძე მესხიას** ნაამბობი ჩაიწერა წალენჯიხის რაიონის სამესხიოს 8-წლიანი სკოლის VI-კლასელმა **ლაურა კაკაჩიამ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქვირფასო რედაქციავ!

ქალაქ სამტრედიის საშუალო სკოლის პიონერები და წითელკვალმაძიებლები გულმოდგინედ ვსწავლობთ, სამამულო ომში დაღუპულ თანამემამულეთა საბრძოლო ბიოგრაფიებს; დიდი ინტერესით ვკითხულობთ ლიტერატურას, სადაც აღწერილია საბჭოთა ქვეყნისათვის განსაცდელის ჟამს საქართველოდან წასულ მეომართა მიერ გავლილი მძიმე და სახელოვანი გზა.

დიდი სამამულო ომის თვალუწვდენ ფრონტებზე არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ოპერაცია, სადაც ქართველ ჯარისკაცებს, ოფიცრებს, მხედართუფროსებსა და ადმირალებს მონაწილეობა არ მიეღოთ.

ასიათასობით მემამულეთა მსგავსად, თავგანწირვით იბრძოდა სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ალექსანდრე კოპალეიშვილი, რომელიც ომის გამოცხადებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და აღმოსავლეთ პრუსიამდე სდია მტერს, ხოლო გამარჯვების მიჯნაზე, ქ. კენიგსბერგისათვის ბრძოლაში, გმირული სიკვდილით დაეცა.

სანდრო მასწავლებლის ხსოვნას სიყვარულით ინახავს ამაგდარი სკოლა.

გთხოვთ სამშობლოსათვის თავდადებული პედაგოგის — ალექსანდრე კოპალეიშვილის საბრძოლო ცხოვრება გააცნოთ „პიონერის" მკითხველებს.

ქ. სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის პიონრბი, წითელკვალმაძიებლები.



ალექსანდრე კოპალეიშვილი.

# არდავიწყება...

**ლამარა გვაზავა-სანაძე**

კენიგსბერგის დასავლეთით, პრეისიშ-ეილაუში, საბჭოთა ჯარების შენაერთები იდგნენ. ეს სარკინიგზო ქალაქი 1945 წლის 10 თებერვალს ფაშისტებისაგან განთავისუფლდა. პრეისიშ-ეილაუ, კენიგსბერგი და ზემლანდიის მთელი ნახევარკუნძული ფაშისტების წარმოდგენით აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა, მაგრამ ის მაინც აიღეს ჩვენებმა.

ალექსანდრე კოპალეიშვილი და მისი მებრძოლები პრეისიშ-ეილაუში რომ შევიდნენ, ქალაქი მიწასთან გასწორებული დაუხვდათ. ომის მიერ მიყენებულ ჭრილობას ბურუსიანი ამინდიც ამძიმებდა. გერმანული ქალაქის ნანგრევებზე მდგარ სანდროს თვალწინ წარმოუდგა საქართველო თავისი ალერსიანი გაზაფხულით. მოენატრა სამი წლის უნახავი ცოლშვილი, ნათესავები, სკოლა, კოლეგები, მშობლიური სითბო და სიყვარული. მაშინ სანდრო და მისი მებრძოლები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ სულ მალე პრეისიშ-ეილაუს ქართველი სარდლის — პეტრე ბაგრატიონის სახელი დაერქმეოდა და ის ამიერიდან საბჭოთა ქვეყნის განუყოფელ ნაწილად იქცეოდა. კენიგსბერგი და მისი ახლომდებარე სხვა ქალაქები ჯერ კიდევ ფაშისტებს ეკუთვნოდათ, მაგრამ იქ ცოტა ხანში ჰიტლერელთა სახსენებელი არ უნდა ყოფილიყო. ეს სჯეროდა ყველა მეომარს.

როცა სიბნელე ჩამოწვა, საბჭოთა ჯარის ნაწილებმა კენიგსბერგისაკენ აიღეს გეზი.

უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული გეგმით, 1945 წლის 6 აპრილს დაიწყებოდა ქალაქის შტურმი. დარტყმა ერთდროულად რვა მიმართულებით იყო განზრახული და ეს რვა ფოლადის მუშტი ქალაქის ცენტრში შეიკვრებოდა.

5 აპრილის ღამეს საბჭოთა მეომრების ერთ-ერთმა შენაერთმა კენიგსბერგის სამხრეთით, 7-10 კილომეტრის დაშორებით, საბრძოლო პოზიცია დაიკავა. შტურმისათვის მთელ ფრონტზე გამალებული მზადება წარმოებდა.

ღამე ჯარის ნაწილებთან პოლიტხელი მოვიდა. მან მებრძოლებს ჩვენი ჯარების მიერ ბრატისლავისა და უნგრეთის განთავისუფლების სასიხარულო ცნობა მოუტანა.

კენიგსბერგის ოპერაციისათვის ძალღონის დაუზოგავად ემზადებოდა საბჭოთა არმია. ყველას ჰქონდა მიჩენილი თავისი უბანი და გარღვევის ხაზი.

სანდრო კოპალეიშვილმაც მიიღო ბრძანება. მას ქვემეხები გერმანელთა ტანკებთან შეხვედრისათვის მზად უნდა ჰქონოდა. მეთაურმა მიჩენილ უბანზე დროულად დაიჭირა თადარიგი. ჯერ კიდევ ღამით დაამთავრა იარაღების შენიღბვა, მოიმარაგა ჭურვები, მომავალი დიდი ბრძოლების შესახებ ესაუბრა მებრძოლებს. მან იცოდა, რომ იმ ვიწრო ზოლში, რომლის დაცვა მის ბატარეას ჰქონდა მინდობილი, განთიადზე წამოვიდოდნენ მტრის ტანკები. ჯერჯერობით კი წინა ხაზზე შედარებით მყუდროება სუფევდა და მებრძოლებს შეეძლოთ თვალის მოტყუება. გვარდიელები კიდეც თვლემდნენ ნოტიო სანგრებში.

არ ეძინა მეთაურს. ფიქრები, მოგონებები, გავლილი ცხოვრება და მომავლის იმედები ერთმანეთში გადაიხლართა.

სანდროს, როგორც სკოლის დირექტორს, უფლება ჰქონდა ზურგში დარჩენილიყო, მაგრამ იმ დროს, როცა სამშობლო ქუდზე კაცს ეძახდა და სამხედრო კომისარიატებიდან ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდობას ორკესტრის გუგუნი მიაცილებდა, მას არ შეეძლო ზურგში დარჩენა.

— არა, აქ ვერ დავრჩები! ჩემი ადგილი დღეს იქ არის, სადაც სამშობლოს ბედი წყდება! — მისი ეს გადაწყვეტილება ურყევი იყო და სანდრო და-

ემშვიდობა მეუღლეს, ოთხ შვილს, სკოლას, ახლობლებს და ფრონტზე წავიდა. მას შემდეგ სიკვდილის კევრი ბევრჯერ დატრიალდა მის თავზე. ტყვიის წვიმაში ათასობით კილომეტრი ბრძოლით გაიარა და დღეს კენიგსბერგის მისადგომებთან ახალი იერიშისათვის გამზადებული იდგა. თვალწინ დაუდგა ჩვენი ხალხისა და მეომრებისათვის ის მძიმე დღეები, როცა აუცილებლობის კარნახით უკან იხევდნენ. თვალწინ დაუდგა ყუმბარებისაგან კალთებშერუჯული კავკასიონი. ჰიტლერელებმა ვერ აღისრულეს საწადელი, ვერ გადმოლახეს დიადი კავკასიონი. სწორედ იმ მძიმე დღეებში სანდროს ქვემეხები კავკასიონის კარიბჭესთან გზას უღობავდა დამპყრობლებს.

მოწინააღმდეგის დამარცხებულ-შეფერთხილმა დივიზიებმა უკან დაიხიეს. ბრძოლის ინიციატივა მთლიანად საბჭოთა ჯარის ხელში გადმოვიდა. ფაშისტები უკან იხევდნენ ყუბანში, სამხრეთ უკრაინაში. დაიწყო მელიტოპოლის გასათავისუფლებლად შეუპოვარი ბრძოლები. ეს ქალაქი მოწინააღმდეგეს სიმაგრედ ჰქონდა გადაქცეული. მათი შეryეული ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მელიტოპოლის მანგანუმს, ამიტომ ქალაქის შენარჩუნების მიზნით სასწრაფოდ იწყეს დამხმარე ძალების გადმოყვანა სხვა ფრონტებიდან. მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლები თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა. იმ ცხარე დღეებში სანდროს ბატარეა წინა ხაზზე იდგა და დღედაღამ ცეცხლს უშენდა ჰიტლერელთა ტანკებსა და სიმაგრეებს.

1943 წლის 23 ოქტომბერს ქალაქი მელიტოპოლი განთავისუფლდა. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ქართველმა არტილერისტმა სანდრო კოპალეიშვილმა და იგი ჯილდოზე წარადგინეს.

1944 წლის 5 მაისს უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული გეგმით დაიწყო სევასტოპოლის ოპერაცია.

7 მაისს საბჭოთა ჯარის შენაერთებმა სევასტოპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაიწყეს იერიში. იქ, ერთ-ერთ მძიმე უბანზე იბრძოდნენ სანდროს გვარდიელებიც. ცხარე ბრძოლები მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს 6 საათისათვის სისხლით მორწყული საპუნ-გორა საბოლოოდ განთავისუფლდა.

ამ ბრძოლაში კოპალეიშვილმა უმაღლესი მთავარსარდლობის მადლობა დაიმსახურა.

12 მაისს სევასტოპოლი ოკუპანტებისაგან მთლიანად გაიწმინდა.

დივიზია, რომელშიც შედიოდა 34526-ე საარტილერიო პოლკი, ბალტიისპირეთში იქნა გადასროლილი. ამ პოლკს ეკუთვნოდა ს. კოპალეიშვილის ბატარეაც.

27 ივლისს გააფთრებული ბრძოლების შემდეგ განთავისუფლდა გერმანელების მიერ საგულდაგულოდ გამაგრებული სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი შიაულია. ამ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის სანდრო კვლავ წარადგინეს მთავრობის ჯილდოზე.

ჩვენმა ჯარებმა ბელორუსიის ფრონტზე შეტევა განავითარეს, ამავე დროს ბალტიისპირეთში წითელმა არმიამ მძლავრი დარტყმით დაუგავპილს-კაუნასის რკინიგზის მაგისტრალი გადაკვეთა და ღრმად შეიჭრა ვილნიუსის მიმართულებით. 13 ოქტომბერს ლიტვის დედაქალაქში კვლავ აფრიალდა წითელი დროშა.

ბალტიისპირეთში წარმოებული ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლის მონაწილე გახლდათ კოპალეიშვილის გვარდიული ბატარეა.

საბჭოთა არმია უკვე აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარს მიადგა. გერმანელთა სარდლობამ საზღვარზე თავი მოუყარა 41 დივიზიას, 8200 ქვემეხსა და ნაღმსარტყორცნს, 700 ტანკსა და 515 თვითმფრინავს. მთელ აღმოსავლეთ პრუსიაში წლების მანძილზე შენდებოდა ქვის ნაგებობები, ციხესიმაგრეები, რკინა-ბეტონის ზღუდეები, ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტები, ,,კბილებიანი ვეშაპები'', დანაღმული მინდვრები...

ასეთი ზღუდის აღება, რა თქმა უნდა, არც ჩვენი ჯარებისათვის იყო იოლი, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადაელახათ.

16 ოქტომბერს საბჭოთა ჯარის შენაერთებმა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარი გადალახეს. მილიონნახევრიან არმიას ჰიტლერელებისათვის სასიკვდილო ლახვარი სწორედ საკუთარ მიწაზე უნდა ჩაეცათ...

,,ვინც ქარს თესავს, მუდამ ქარიშხალს იმკის'', — ფიქრობდა გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებული სანდრო. მაგრამ მტრის ტყვიამ დროებით გამოთიშა ბრძოლიდან... 26 დეკემბერს იგი ისევ დაბრუნდა თავის ნაწილში, სადაც შინიდან მოსული ბარათები დახვდა.

სანდროს მხედრულ ცხოვრებაში მზის შუქის შემონათება იყო ოჯახიდან მიღებული წერილი. პასუხს არც თვითონ აყოვნებდა. ამხნევებდა მეუღლეს, არიგებდა ბავშვებს. ,,პიონერთა რაზმის შტაბის უფროსი ყოფილხარ. ეს დიდი მოვალეობაა. — წერდა თავის ვაჟიშვილს. — საქმეს გულმოდგინედ უნდა მიჰყვე. პიონერულ მუშაობას პატივით უნდა მოეკიდო. მეც ასე ვეკიდებოდი, როცა პიონერებთან ვმუშაობდი''. მამას მოვალეობის გრძნობა შთააგონებს, რომ ყრმა შვილს ბრძოლის ველიდან ურჩიოს შრომისა და სწავლისადმი სიბეჯითე-გულმოდგინება, მოვალეობისადმი ერთგულება. უკანასკნელ წერილში კი იგი შვილს ისე ეუსაბრება, როგორც ტოლი — ტოლს:

,,ჩემო ძვირფასო თორნიკე! ომი უკანასკნელ ფაზაში შევიდა, დადგა მომენტი ფაშიზმის საბოლოო განადგურებისა. სულ მოკლე ხანში ბერლინში ავაფრიალებთ გამარჯვების დროშას''.

მეუღლისადმი მიწერილი ბარათიც ასევე გამარჯვების რწმენით არის აღსავსე: ,,ძვირფასო ხაჭულია! ახლა ჩვენი გამარჯვების მუსიკა უკრავს, ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. საბჭოთა არტილერია ფაშისტებს თავისსავე ტერიტორიაზე ანადგურებს''. იგი კვლავ სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა. ამ სიხარულსაც უზიარებს ცოლ-შვილს.

,,მალე მტერი მთლიანად დამარცხებული იქნება'', — სწერდა უახლოეს ადამიანებს გამარჯვებისა და დიდი ზეიმის კარიბჭესთან მდგომი მეომარი. მაგრამ რა იცოდა ათას ცეცხლში გამოვლილმა გვარდიელმა, რომ ეს მისი უკანასკნელი წერილი იქნებოდა!..

1945 წლის 6 აპრილს, კენიგსბერგიდან ხუთიოდე კილომეტრზე მდებარე სოფელ ჩკალოვთან მიწას მიაბარეს სამშობლოს თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი, გვარდიის ლეიტენანტი, სამამულო ომის სამი ორდენის კავალერი — ალექსანდრე კიმოთეს ძე კოპალეიშვილი.

მის სამარესთან იდგნენ გვარდიელები და ფიცს დებდნენ, რომ შურს იძიებდნენ მეთაურისა და მეგობრის დაღვრილი სისხლისათვის...

,,ძმათა სასაფლაოს, სადაც დაკრძალულია ალექსანდრე კოპალეიშვილი, სიყვარულით უვლიან ადგილობრივი ჯარის ნაწილების მეომრები და კალინინგრადის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლეები'', — იტყობინება კალინინგრადიდან მაიორი ბერესტოვი.

დიდება და არდავიწყება ვალმოხდილ ქართველ მამულიშვილს!



# პიონერული ცხოვრების მატიანე

1946 წლიდან დაიწყო პიონერული ორგანიზაციის მუშაობის გადახალისება. შემოღებული იქნა პიონერული აქტივის არჩევნები, პიონერული შტაბები კი შეიცვალა არჩევითი რაზმის საბჭოებით.

პიონერები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად, აშენებენ დანგრეულ ქალაქებს, სოფლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, ხიდებს, რკინიგზებს...

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოსკოვის მიკლუხო-მაკლაის სახელობის რაზმის თაოსნობით დაწყებული ლაშქრობა მშობლიურ მხარეში. ბავშვები სწავლობენ მშობლიურ რაიონს, ქალაქს, სოფელს, იკვლევენ მათ ისტორიას, ხვდებიან გამოჩენილ ადამიანებს.

1948 წლის იანვარში მოსკოვში ჩატარდა ნორჩ მოგზაურთა საკავშირო შეკრება, შეკრებაში 312 დელეგატი მონაწილეობდა. აღინიშნა, რომ მშობლიური მხარის შესასწავლად ლაშქრობაში სამ მილიონამდე პიონერი მონაწილეობდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს ტურსუნალი მატკაზიმოვს ბამბის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

იმავე წლის ოქტომბერში ლენინური კომკავშირი ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

1949 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათის პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ნათელა ჩელებაძეს ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

იმავე წელს შედგა კომკავშირის XI ყრილობა, რომელმაც განიხილა საკითხი „კომკავშირის მუშაობა სკოლაში". ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო პიონერული ორგანიზაციის მუშაობის საკითხებსაც.

1950 წელს პიონერთა საყვარელი გაზეთი „პიონერსკაია პრავდა" ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ძნელია იმ წლების პიონერიას სასახელო ამბების ჩამოთვლა: აი, ზოგიერთი მათგანი: 1952 წელს როსტოვის ოლქის აკსკაის სკოლის მოსწავლეებმა მოაგროვეს და ვოლგა-დონის არხის გასამწვანებლად გააგზავნეს აკაციის, კოპიტისა და ალუჩის თესლი.

ჩერდოვის საბავშვო სახლის პიონერებმა თავიანთი ხელით ააგეს პატარა ჰიდროელექტროსადგური და სოფელი გაანათეს.

სვერდლოვსკის ოლქის პიონერებმა კოლმეურნეებს რძის ქარხანაში წყალსადენი მოაწყობინეს.

იასნოპლიანის სკოლაში გაიხსნა პირველი სასკოლო პლანეტარიუმი, რომელიც ბავშვებმა თვითონ ააგეს ფიზიკის მასწავლებლის ხელმძღვანელობით;

1954 წელს კრემლში გიორგის დარბაზში აინთო პირველი საახალწლო ნაძვის ხე ბავშვებისათვის.

საკავშირო ალკკ XII ყრილობამ განიხილა მოხსენება ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.



# ცხოველების გამრავლება

ცხოველები სხვადასხვანაირად მრავლდებიან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ უხერხემლოები. ყველასათვის ცნობილია უმარტივესი ცხოველი ქალამანა, რომლის დანახვა შეიძლება მხოლოდ მიკროსკოპით ან გამადიდებელი მინით. იგი ხშირად გვხვდება ტბორებში, გუბურებში, წუმპეებში და ა. შ.

ქალამანა მრავლდება გაყოფით: შუაზე იხლიჩება და ერთი ქალამანიდან ორი შვილეული ორგანიზმი წარმოიქმნება. ხელშემწყობ პირობებში (+20 გრადუსი ტემპერატურის დროს) იგი ერთ დღეში ასწრებს სრულ ზრდასა და გამრავლებას. ათი დღის განმავლობაში ამ ცხოველის მეათე თაობა უკვე 1024 ეგზემპლარს აღწევს.

•

კოლორადოს ხოჭო, რომელიც კარტოფილის საშინელ მავნებლად ითვლება, ერთ ჯერზე დებს დაახლოებით 700 კვერცხს. ეს მწერი წელიწადში სულ ცოტა სამი თაობის მოცემას ასწრებს. თუ დავუშვებთ, რომ გამოჩეკილი მატლები ყველა სრულ ზრდას მიაღწევს და ამასთან მათი ნახევარი დედალი იქნება და შთამომავლობის მოცემა შეეძლება, მაშინ ერთი ხოჭოს მესამე თაობა 85 მილიონი ეგზემპლარი იქნება.

•

ცხოვრობს მთვარათევზი, რომლის სიგრძე აღწევს 2,4 მეტრამდე. ეს თევზი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ტოფობს და ყრის 300 მილიონ კვერცხს (ყველაზე მეტს ხერხემლიან ცხოველებს შორის). თუ დავუშვებთ, რომ ყველა კვერცხიდან გამოჩეკილი ლიფსიტა გაიზრდება, მათი ნახევარი დედალი იქნება და გამრავლებას შესძლებს, მაშინ ამ თევზის მესამე თაობა მიაღწევს ისეთ რაოდენობას, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ციფრით: 6 პლუს 24 ნული. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთვარათევზის წონა ერთ ტონას უდრის, მაშინ მისი მესამე თაობის საერთო წონა გამოხატული იქნება ზემოაღნიშნული ციფრით. ამ თევზების საერთო წონას თუ შევადარებთ დედამიწის წონას, აღმოჩნდება, რომ მთვარათევზების მესამე თაობის საერთო წონა ასჯერ უფრო მეტი იქნება დედამიწის წონაზე.

მაგრამ ბუნებაში ასე როდი ხდება. კოლორადოს ხოჭოსა და ოთახის ბუზის კვერცხებს, მატლებსა და ზრდასრულებს კენკავენ მრავალრიცხოვანი ფრინველები, ჭამენ ხვლიკები და სხვა სახის ცხოველები, ამის შედეგად მათი საერთო რაოდენობა დიდად არ იზრდება. პირიქით, თანდათან კლებულობს, ზოგან კი სულაც ისპობა ადამიანის მიერ ჩატარებულ მთელ რიგ ქმედით ღონისძიებათა შედეგად.

არჩილ ჯანაშვილი.

## შენი უცხოელი თანატოლები

### იტალიის პიონერთა ასოციაცია

პირველი პიონერული რაზმები იტალიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს დაიბადნენ. ისინი გაერთიანდნენ კავშირში, რომელსაც „იტალიის პიონერთა ასოციაცია“ ეწოდა.

იტალიის პიონერთა ასოციაცია ძალზე მძიმე პირობებში მუშაობდა და მუშაობს. კათოლიკური ეკლესია სასტიკად სდევნის პიონერებსაც და მათ მშობლებსაც, პოლიცია კრძალავს წითელი ყელსახვევის ტარებას, პიონერთა შეკრებებს, ხელჯოხებით ერეკება ბავშვებს. დღეს იტალიაში აღარ არსებობს ერთიანი პიონერული ორგანიზაცია, პიონერული რაზმები პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან არის ჩამოყალიბებული. მაგრამ იტალიელ პიონერებს არ აშინებთ ეს სიძნელეები, ისინი მუშათა კლასის საქმის ერთგულნი არიან. მათი დევიზია: „სიცოცხლის შესახვედრად!“

იტალიელი პიონერები ატარებენ წითელ, ირგვლივ მწვანე, თეთრ და წითელ ზოლებით შემოარტყმულ ყელსახვევს. პიონერულ ნიშანზე სახელმწიფო დროშის ფონზე გამოსახულია გოგონა და ბიჭუნა.

პიონერებს თავისი წესი და კანონი აქვთ. ისინი ამ კანონის მიხედვით




ცხოვრობენ და იღვწიან, მაგალითის მომცემნი არიან სხვა ბავშვებისათვის, ყველგან — სკოლაში, შინ, ქუჩაში. ისინი შეჩვეულნი არიან გაჭირვების გადატანას და, რაც მთავარია, არასოდეს იტეხენ გულს, სწამთ მშრომელი ხალხის გამარჯვება.

თავის დროზე ტურინელმა, გენუელმა, ფლორენციელმა პიონერებმა მოაწყეს ვიეტნამში ომის საწინააღმდეგო მიტინგები — ვიეტნამელ ბავშვებს სოლიდარობისა და მეგობრობის ნიშნად გაუგზავნეს ორი ათასი ბარათი. აგროვებდნენ ფულად სახსრებსაც. საერთოდ, ისინი მხურვალედ ეხმაურებიან ყოველ მნიშვნელოვან წამოწყებას, რასაც იტალიის კომპარტია დაისახავს.

### კონგოელი პიონერები

კონგოელი პიონერები მუშაობენ სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ პარტიის ლოზუნგია: მშვიდობა და სოციალიზმი, ერთიანობა და სამართლიანობა. სოციალიზმისაკენ გზა კონგოში არ არის იოლი — კოლონიზატორებმა დაშლის, სიღატაკის კარამდე მისული ქვეყანა დატოვეს.

ქვეყანაში ათასობით წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ერთ მასწავლებელზე მოდიოდა 70 მოსწავლე. ამიტომ პიონერები გაემართნენ „მცოდნეთა და ხელმარჯვეთა ლაშქრობებზე“. სოფლებში გაიხსნა კლუბები: „ისწავლე წერა-კითხვა“. ამ კლუბებში მასწავლებლებად პიონერები იყვნენ. ისინი ასწავლიდნენ წერა-კითხვას მშობლებს, მოხუცებს, იმათ, ვისაც სიცოცხლეში პირველად ეჭირა ხელში ფანქარი.



პიონერები მონაწილეობენ ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამუშავებენ მინდვრებს, აშენებენ გზებს, ხიდებს, მაგისტრალებს.

უდიდესი მოვლენა იყო ბავშვების ცხოვრებაში პირველი პიონერული ბანაკის — კონგოური „არტეკის“ გახსნა. ეს ბანაკი კონგოელ პიონერებს საბჭოთა მეგობრებმა აუშენეს.

---

## იცოდე

**მაიორი** — ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა, ნიშნავს დიდს, უფროსს. წოდებულება „მაიორი“ 400 წლის წინათ გაჩნდა ესპანეთის არმიაში, სადაც ასე უწოდებდნენ პოლკის მეთაურის ერთ-ერთ თანაშემწეს. რუსეთის არმიაში ეს წოდებულება 1711 წლიდან დამკვიდრდა და მას, მოგვიანებით, ათასეულის მეთაურს ანიჭებდნენ. 1884 წელს ეს ჩინი გაუქმდა. საბჭოთა არმიაში წოდებულება „მაიორი“ 1935 წლის 22 სექტემბრიდან არსებობს.

**პოდპოლკოვნიკი.** თავდაპირველად ასე იწოდებოდა პოლკის მეთაურის თანაშემწის თანამდებობა, შემდგომ კი ეს სიტყვა სამხედრო წოდებულებასაც აღნიშნავდა. კარგა ხანს ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მეთაურობა არ შედიოდა პოდპოლკოვნიკების მოვალეობაში. ისინი ხელმძღვანელობდნენ პოლკის მეურნეობას, იყვნენ შტაბ-ოფიცრები, პოლკის მეთაურს სხვადასხვა საქმეში ეხმარებოდნენ. საბჭოთა არმიაში წოდებულება „პოდპოლკოვნიკი“ დიდ სამამულო ომამდე ცოტა ხნით ადრე — 1939 წლს 1 სექტემბერს დაწესდა.

**პოლკოვნიკი.** ასე უწოდებდნენ პოლკის მეთაურს. მას ან ნიშნავდნენ, ან ირჩევდნენ (კაზაკები), რომ პოლკისათვის ეხელმძღვანელა ლაშქრობის, კამპანიის დროს. დროთა განმავლობაში თანამდებობის სახელწოდება სამხედრო წოდებულებად იქცა. საბჭოთა არმიაში წოდებულება „პოლკოვნიკი“ დაწესდა 1935 წლის 22 სექტემბერს.

**გენერალი.** ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა, ნიშნავდა საერთოს, მთავარს. კარგა ხნის წინათ სამხედრო წოდებულებებს წინსართს ურთავდნენ: მაგალითად, „კაპიტან-გენერალი“ — მთავარი კაპიტანი. XVI საუკუნიდან საფრანგეთისა და გერმანიის ჯარებში გენერლის წოდებულებამ დამოუკიდებელი მნიშვნელობა მოიპოვა. საბჭოთა არმიაში ეს წოდებულება დაწესდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით. იმ დროს არსებული წოდებულებების — „ბრიგადის მეთაურის“, „დივიზიის მეთაურის“, „კომანდარმის“ 1-ლი და მე-2 რანგის ნაცვლად შემოღებულ იქნა „გენერალ-მაიორი“, „გენერალ-ლეიტენანტი“, „გენერალ-პოლკოვნიკი“, „არმიის გენერალი“



დექი, რომ გამორბენი მის მიმართ პერპენდიკულარული იყოს. სიგრძეზე ხტომისა არ იყოს, აქაც, გამორბენის სისწრაფემ თანდათან უნდა იმატოს. თუ მარცხენა ფეხით აირეკნავ, მარჯვენა მუხლში უნდა მოხარო და მთელი ძალით მაღლა აიქნიო. შემდეგ მუხლები მკერდამდე მიიტანე, ისე, ვითომ ჩაცუცქული იყო, და თამასას გადაევლე.

როცა ამ ხტომას კარგად დაეუფლები, შემდეგ „მაკრატელით“, ანუ „გადაბიჯებით“ ხტომა დაიწყე. საამისოდ გამორბენის კუთხე 30-40 გრადუსს უნდა უდრიდეს, გამორბენისათვის კი 7-9 ატარე თამასაზე გვერდულად, დადექი მიწაზე და შემდეგ მეორეც გადაატარე. ამას რომ მრავალჯერ გააკეთებ, შემდეგ 2-3 მეტრიდან გამოირბინე და სიმაღლეს ასე გადაევლე. ამაშიც რომ გაიწაფები, გამორბენის სიგრძე გაზარდე. გამორბენის სიგრძე ტერფებით გაზომე, დაიმახსოვრე და ფეხი აღარ აგერევა.

ხტომისას საჭირო ფიზიკური თვისებების გამოსამუშავებლად გაგაცნობთ ზოგიერთ ვარჯიშს, ამ ვარჯიშების შესრულება დამოუკიდებლად შეგიძლიათ.

1. იხტუნე ადგილზე, ხან ერთ, ხან ორივე ფეხ-

# ყურადღება, სტარტზე!

## სიმაღლეზე გამორბენითი ხტომა

### მესამე გაკვეთილი

1966 წელს ლუჟნიკის სტადიონზე ათიათასობით მაყურებლის თვალწინ ვ. ბრუმელმა ფენომენალური ნახტომი გააკეთა — გამორბენით 228 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადახტა.

ბარე თორმეტი წელიწადი დასჭირდა, რომ მსოფლიო მიღწევას 3 სანტიმეტრი მომატებოდა. ცხადია, არც 231 სანტიმეტრია ადამიანის შესაძლებლობის ზღვარი, და, ვინ იცის, იქნებ სწორედ მათ შორის, ახლა რომ მშთ-ს ნორმატივების ჩასაბარებლად იწყებენ ვარჯიშს, არის ის, ვინც დასძლევს ამ რეკორდს.

ბევრი ალბათ მოიგონებს, რომ მშთ-ს ნორმატივი 115 სანტიმეტრია და გაიცინებს, სად 115 და სად 231 სანტიმეტრიო! მაგრამ უნდა გაგახსენოთ, 12 წლის ვალერი ბრუმელი გაჭირვებით სძლევდა 120 სანტიმეტრს.

სიმაღლეზე რამდენიმე სტილით ხტებიან, მაგრამ შენ ვარჯიში ყველაზე უბრალოდ, ფეხებმოხრით უნდა დაიწყო. გადასახტომ თამასასთან ისე დანაბიჯია საკმარისი. არეკნი თამასიდან ერთნახევარი, ორი ტერფის მოშორებით უნდა მოხდეს. თუ მარცხნიდან გამორბიხარ, მარჯვენა ფეხით უნდა აირეკნო, თუ მარჯვნიდან — მარცხენით. ახტომისას თავისუფალი ფეხი და ხელები მაღლა უნდა აიქნიო, ეცადე ამრეკნავი ფეხი არ მოხარო. თამასაზე ჯერ მეორე ფეხი გადადის, შემდეგ ამრეკნავი.

თუ ეს ხტომა კარგად არ შეისწავლე, მშთ-ს ნორმატივებს ვერ ჩააბარებ. ხტომის შესწავლა ასე უნდა დაიწყო: დადექი თამასასთან გვერდულად, ასწიე ერთი ფეხი, გადაზე. ჰაერში შემოტრიალდი.

2. ჩაცუცქდი, იქიდანვე რაც შეიძლება მაღლა ახტი და ხელებიც მაღლა აიქნიე.

3. ახტი მაღლა და რაიმე ჩამოკიდებულ საგანს, ან ხის ტოტს ხელით შეეხე.

4. ახტი მაღლა და რაიმე ჩამოკიდებულ საგანს თავით შეეხე.

5. მუხლმოუხრელად წინ გადაიხარე და ხელებით მიწას შეეხე.

6. კარის სახელურს ხელი ჩასჭიდე და ხან ერთი, ხან მეორე ფეხი რაც შეიძლება მაღლა აიქნიე.





# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ დამსახურებული
მწვრთნელი
**შოთა ინწკირველი**

### მსხვერპლის გაღება განვითარებაში უპირატესობის მოსაპოვებლად (პაიკის შეწირვა ინიციატივისათვის)

ჭაბუკებში თბილისის მრავალგზის ჩემპიონი, რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატობის კანდიდატი ვარლამ ვეფხიშვილი პირველი საკავშირო ოლიმპიადის (მოსკოვი 1972 წ.) მონაწილეა, სადაც დიდოსტატ გუფელდთან ერთად ყველაზე მეტი ქულები (5,5 9 შესაძლებლობიდან) შესძინა საქართველოს ნაკრებს.

გთავაზობთ ვ. ვეფხიშვილის ერთ-ერთ პარტიას.

### პარტია № 7

### სიცილიური დაცვა (სოზინის შეტევა 6. კc4)

თბილისი, 1963 წ.

თემატური ტურნირი ლენინის რაიონის პიონერთა სახლში.

თეთრები: ვ. ვეფხიშვილი
(მეოთხეთანრიგოსანი. 10 წლის)
შავები: ე. კვინტრაძე
(მესამეთანრიგოსანი. 12 წლის)

**1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 e6 6. კc4 a6 7. 0—0 b5 8. კb3 b4 9. მa4 მ:e4.**

გათამაშდა სოზინის შეტევის გამბიტური — პრობლემატური ვარიანტი. თეთრებმა შესწირეს ცენტრალური პაიკი. სამაგიეროდ, შავები საგრძნობლად ჩამორჩნენ განვითარებაში და დაასუსტეს ლაზიერის ფრთა, მაგრამ საკმარისია მათ გააკეთონ ორი სვლა d6—d5 და კe7, რომ განამტკიცონ თავიანთი პოზიცია. ჩვენ ვიცით, რომ (იხ. „პიონერი“ № 5, 7, 1974 წ. № 1 1975 წ.) უპირატესობა განვითარებაში დროებითი ხასიათის უპირატესობაა და მოითხოვს ზედმიწევნით ენერგიულ მოქმედებას. ბრძოლის მეთოდი განხილულია „პიონერის“ 1974 წლის № 6-ში.

**10. ეe1.**

აქ შეტევის მრავალნაირი გაგრძელებები გამოსცადეს, მაგრამ ეe1 ყველაზე ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან თეთრებს ბრძოლაში შემოჰყავთ კიდევ ერთი ფიგურა და ქმნიან მუქარებს „e“ ხაზზე. ეს თვალსაჩინოდ ჩანს იოვჩიჩ-ზლატანის პარტიაში (იუგოსლავიის 1959 წლის პირველობა მიწერ-მოწერით): 10. ... მf6? 11. კg5 კe7 12. მf5! 0—0 (თუ 12. ... ef. 13. კ:f6 gf 14. ლd5 ეa7 15. ლ: f7+ მფd7 16. მb6+ !) 13. მ:e7+ ლ:e7 14. მb6! (ორივე შემთხვევაში მხედარი თავის ძალას ამჟღავნებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უდროოდ გარდაცვლილი ცნობილი ოსტატი და თეორეტიკოსი ი. ლიპნიცკი უპირატესობას 9. მb1 სვლას აძლევდა, თვლიდა რა, რომ „გარეგნულად უფრო აქტიური სვლა 9. მa4 ნაკლებ ძლიერია, რადგან a4 უჯრა შემონახული უნდა იყოს თეთრი კუსთვის“) 14. ... კb7 (ან 14. ... ეa7 15. მd5 ლd8 16. კ:f6 gf 17. ლd4 და ა. შ.). 15. მ:a8 კ:a8 16. კ:f6 ლ:f6 17. ლ:d6 და თეთრებმა მალე მოიგეს. ყურადღება მიაქციეთ ამ პარტიის მეტად სასწავლო ვარიანტებს, რომლებიც, მართალია, „კულისებში“ დარჩნენ, მაგრამ განაპირობეს პარტიის ბედი. დებიუტისა და ვარიანტის იდეის ცოდნასთან ერთად შემსწავლელი აუცილებლად უნდა გაეცნოს მსგავს ტიპიურ პარტიებს.

ცხადია, 10. ... მf6 არადამაკმაყოფილებელია, ასევე 10. ... კb7 11. f3 და „e6“-ზე

ცხადია, 10. ... კb7 11. f3 და „e6“-ზე მხედრის შეწირვა.

**10. ... d5! 11. კf4!**

ეს სვლა არა მარტო ფიგურას ანვითარებს, არამედ ესადაგება ასეთ პოზიციებში ბრძოლის ტიპიურ გეგმას. მუქარაა 12. კ:b8. 11. ... კb7-ზე იგებს სუეტინის მიერ ნაჩვენები 12. ლh5! მაგალითად, თუ 12. ... g6 13. ლe5 ლd6 14. ე:e4! ან 12. ... ლf6 13. ე:e4! de 14. მ:e6! 11. ... კd6 12. კ:d6 ლ:d6 13. f3!

ეს უფრო ძლიერია, ვიდრე 13. მ:e6 fe 14. ე:e4 0—0 13. ... მf6 14. მf5 ლc7 15. კ:d5 საყურადღებოა 15. ლd2 0—0 16. მ:g7!

**15. ... ლa5.**

შავები სწირავენ ხარისხს, რათა მოიცილონ აბეზარი მხედარი. შესაძლოა, მათ აშინებდეთ მუქარა: მf5:g7:e6. თეთრებს ფიგურაში სამი პაიკი და ინიციატივა აქვთ.

**16. კ:a8 ლ:f5 17. ლd6**

„ცენტრში დარჩენილი მეფე“ (იხ. „პიონერი“ № 6, 7, 1974 წ.).

**17. ... მb—d7 18. კc6 მფd8 19. ეad1 მe8.**



**20. ლ:d7+!! კ:d7+ 21. ე:d7 მფc8 22. მb6+ მფb8 23. ეb7×.**

რუსთავიდან მოსწავლე ზაზა ელიაშვილი გვწერს: „ჩემი სურვილია გავიგო, შეიძლება თუ არა შამათი 2 სვლაში, როცა ფიგურები საწყის მდგომარეობაში იმყოფებიან“.

შეიძლება: 1. f3? e5 2. g4?? ლh4×.

ბავშვებო, ბევრი თქვენგანი ამოხსნებთან ერთად გვიგზავნის თავის მიერ შედგენილ პოზიციებს, რომლებიც, როგორც ფიგურათა განლაგებით (კომპოზიცია), ასევე სახელწოდებებით უმართებლოა. ამიტომ დასაწყისისათვის ჩვენ მოგაწვდით აუცილებელ ცოდნას, რათა გაერკვეთ საჭადრაკო კომპოზიციის ელემენტარულ საკითხებში.

ამოცანაში სვლების რაოდენობა განსაზღვრულია. თანამედროვე ამოცანაში ამოხსნა ქიშით ან აყვანით არ იწყება. ძალთა თანაფარდობას მნიშვნელობა არა აქვს. ამოცანის ამოხსნის მთავარი სიძნელე ძირითადად მისი პირველი სვლის პოვნაში მდგომარეობს.

ეტიუდში სვლების რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ის ძირითადად ენდშპილს (დაბოლოებას) გვაგონებს, იშვიათად — მიტელშპილს (შუა თამაშს). ამიტომ ეტიუდი პრაქტიკულ პარტიასთან გაცილებით უფრო ახლო დგას, ვიდრე ამოცანა.

საშუალებათა — ძალთა ეკონომიურობა თანამედროვე კომპოზიციის მნიშვნელოვანი პრინციპია. როგორც ამოცანაში, ისე ეტიუდში უნდა იყოს მხოლოდ ის ფიგურები, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ცხადია, აუცილებელი პირობაა გადაწყვეტის სიძნელე. მომგები იდეა (pointe—მწვერვალი) ყოველთვის მეტად ნატიფ, ძნელად საპოვნ სვლაშია ჩაქსოვილი, რაც ძირითადად შეწირვასთანაა დაკავშირებული.

გთავაზობთ ცხაკაიელი მოსწავლის **გოჩა ტყეშელაშვილის** ნაწარმოებს.

თეთრები: მფe1, ლf1, ეa1, h1, კb2, d3, მb1, პ:a2, b3, c2, d4, e3, g2, h5 (14);

შავები: მფe8, ლd8, ეa8, g8, კa6, f8, მc7, პ:a7, b6, d6, d7, e7, f7, g7, h6 (15);

ჩვენს წინაშეა საკმაოდ უცნაურად გათამაშებული სადებიუტო პოზიცია, რომელსაც ავტორი რატომღაც ეტიუდს უწოდებს. იგი 8 სვლაში აკეთებს შამათს. ეს კი საამოცანო დავალებაა. მოგება ფორსირებულია (შავები აკეთებენ იძულებით სვლებს), ისე კი, ამ პოზიციაში განხორციელებული შეწირვები და, საერთოდ, ამოხსნა ინტერესს მოკლებული არ არის.

„პიონერის“ 1974 წ. № 11-ში გამოქვეყნებული №6 პოზიციაში თეთრები ასე იგებენ:

**1. მფf7! მფh8 2. მფg6! მფg8 3. მფh6 მფh8 4. g6 მფg8 5. g7 (1. g6?? მფh8!).**

სწორი პასუხები გამოგზავნეს: **ქ. კანდელაკიშვილმა** (სიღნაღი, ძველი ანაგა), **ნ. წეწიაძემ** (ახმეტა, ქვემო ალვანი), **რ. სადათერაშვილმა** (გორის რ. ახალხიზა), **გ. ტყეშელაშვილმა** (ცხაკაია), **ქ. ბაცანაშვილმა** (გურჯაანის რ. კაჭრეთი), **ლ. ჩიხლაძემ** (გეგეჭკორის რ. დიდი ჭყონი), **თ. ბაძაღუამ** (გეგეჭკორის რ. ნახუნაო), **დ. ჯიქიამ** (გეგეჭკორის რ. ბომბოთი), **ვ. აქუბარდიამ** (გალი), **გ. ნაფეტვარიძემ** (თერჯოლის რ. ჩხარი), **ა. ალელიშვილმა** (ასპინძა), **ა. კობაიძემ, მ. და ზ. უჯმაჯურიძეებმა, ი. დემურიამ, პ. და ზ. შელიებმა, კ. აბდალაძემ, ზ. და მ. ბათიაშვილებმა, მ. ჭოჭუამ, კ. ენუქიძემ, ლ. სვანიძემ, ი. და მ. ფაცურიებმა, დ. გურგენიძემ, თ. ბარნოვმა, ნ. ფარცვანიამ, გ. კვარაცხელიამ, ნ. ბარძიმაშვილმა, ზ. სიფრაშვილმა, დ. სართანიამ** (თბილისი), **რ. მუმლაძემ** (ზესტაფონი), **ხ. თოთლაძემ** (ქარელის რ. ქვენატკოცა).



ვისაც ხშირად უხდება ხაზვა, მისთვის მუყაოსაგან ან პლასტმასისაგან გამოჭრილი ასეთი ტრაფარეტი მისწრებაა. რა ადგილსაც გინდა, იმ ადგილს ამოშლი ისე, რომ სხვას არ დააზიანებ.

აი, ასეთი მარტივი შხაპი შეიძლება მოაწყო ეზოში ან ნაკვეთში, ამისთვის სულ ცოტა რამ არის საჭირო — რამოდენიმე ფიცარი, ლითონის მოზრდილი სათავსო, რეზინის მილი (მილის ბოლო ტივტივაზე უნდა იყოს მიმაგრებული) და საშხაპე ონკანი.

როცა ველოსიპედით დაქრიხარ, ჯიბეში მუდამ უნდა გედოს სამედიცინო პლასტირის ნაჭერი, რადგან იგი გახვრეტილი კამერის სახელდახელოდ დასაწებებლად უებარი საშუალებაა.

ფეხსაცმელებზე ლანჩა არც ისე იოლი დასაწებებელია, რადგან, სანამ წებო გაშრებოდეს ლანჩა ფეხსაცმელზე მკვრივად უნდა იყოს მიკრული. დახედე, აქ მოთავსებულ სურათს და მიხვდები, რომ ბურთს შეუძლია შეასრულოს ასეთი თავისებური წნეხის მოვალეობა.

ვთქვათ სასწრაფოდ დაგჭირდა შვეულა. არ იფიქრო, რომ კანაფზე, ან ძაფზე გამობმული ყოველი მძიმე საგანი (ვთქვათ ქანჩი) გამოგადგეს საამისოდ (ცხადია, თუ სიზუსტის დაცვაა საჭირო). მინის მენზურაში ჩაყარე სილა ან მარილი, საცობში კანაფი ან ძაფი გაუყარე, ბოლო გაუკვანძე, საცობი მენზურას დაახურე და შვეულა მზად გექნება.

ჩვენ უკვე გირჩიეთ, თუ როგორ უნდა მოამზადო საზამთროდ ფეხსაცმელები, რათა მოლიპულზე ფეხი არ მოგიცურდეს. დაიმახსოვრე კიდევ ერთი, სულ მარტივი რჩევა: ფეხსაცმელებს ქუსლზე და ლანჩაზე ქეჩის ნაჭრები მიაჭედე.













## ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი


**გურგენიძე ა.** — მარადიული ცეცხლი, ანუ სიმღერა უკვდავებისა (ლექსი) . . . . 1
ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა . 3
**ლორთქიფანიძე კ.** — ამხანაგი, ბაქსანზე (მოთხრობები) . . . . . . . . . . 4
მამულს ვუთხრათ გამარჯვება . . . 8
**ჯანჯღავა ვ.** — მშვიდობა ბრძოლით მოიპოვება... (წერილი) . . . . . . . . . 10
**კუხიანიძე ზ.** — ჯარისკაცის ნაამბობი (მოთხრობა) 11
ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა . 14
**მებურიშვილი ტ.** — ომი დამთავრდა!.. (ლექსი) . 17
ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა . 19
**იაკოვლევი ი.** — ვასილისკუნძულელი გოგონები (მოთხრობა) . . . . . . . . . 19
პიონერული ცხოვრების მატიანე . 28
აისი . . . . . . . . . . . 24
ბუნების კარი . . . . . . . . 28
შენი უცხოელი თანატოლები . . 29
ეს უნდა იცოდე . . . . . . . 29
ყურადღება, სტარტზე! . . . . . 30
მხედრიონი . . . . . . . . 31
საზრიანის ხელში . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . , გარეკ. . . . . 3


გარეკანის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18-III-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/V-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 1186. ტირ. 143.300. უე 01906.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.




© „პიონერი", 1975 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. ადგილი მარნეულის რაიონში, სადაც მარმარილოს მოიპოვება; 2. გარეული ცხოველი; 3. გასაგზავნად შეკრულ-შეფუთული ნივთი; 4. ქალაქი საბჭოთა კავშირში; 5. ცნობილი პოლონელი მეცნიერი; 6. ხილის სახეობა; 7, მდინარე საბჭოთა კავშირში; 8. „მოწყვეტილი“ ვარსკვლავი ანუ? 9. „საიდუმლო კუნძულის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი; 10. ქიმიური ელემენტი;

**თარაზულად:** 8. ქალის სახელი; 11. ხილის სახეობა; 12. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 13. დილით ბალახზე გაჩენილი წყლის წვეთები; 14. თვე; 15. ყვავილი; 16. საეკლესიო თანამდებობა; 17. ქალაქი ევროპაში; 18. მდინარე საქართველოში; 19. ბიზეს ოპერა; 20. ძვირფასი ლითონი; 21. მდინარე ციმბირში; 22. კედელზე ქაღალდის მისამაგრებელი; 23. უცხო ენაში სიტყვის წინ მდებარე ნაწილაკი, ანუ?.. 24. მთების ჯგუფი სსრკ-ში; 25. კოლექტიური განცხადება; 26. ქალაქი დასავლეთ გერმანიაში; 27. ლ. ტოლსტოის რომანის გმირი ქალის სახელი.

დარეჯან სამხარაძე,
გურჯაანის რაიონის, სოფ. ჩუმლაყის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## შარადა

ასეთი გახლავს გეთაყვა
ჩვენი პირველი კითხვა:
ბერძნულ ანბანის მესამე
ასოს სახელი მითხარ.
ახლა მორიგი ნაწილიც
გამოიცანი სწრაფად:
იცოდე, ესატყვისება
იგი შრომას და ჯაფას, —
საკმარისია მარტოდენ
ორი შუანა ბგერა.
ხოტბის მეორე სახელიც
გეცოდინება, მჯერა, —
მტევნებასხმული მცენარის
საწყისი ბგერით ახლა,
მას იმ თანხმოვანს შეუცვლი,
რომელიც თავში ახლავს
და ჩანაფიქრი შარადა
აიკინძება ხელად. —
შარავანდედით მოსილი
ძლევის დიდებით ელავს.

შ. ამირანაშვილი.

## თავსატეხი

ჩვენს წინ არის კვადრატული აუზი. აუზის თითოეული გვერდის სიგრძე ოთხი მეტრია. გვაქვს ორი, სამ-სამ მეტრიანი ფიცარი. საჭიროა გახვიდეთ ერთი ნაპირიდან მეორეზე, ისე, რომ აუზს არ შემოუაროთ. როგორ უნდა მოხერხდეს ეს?

## გამოცანები

1. არ იხედება თვალითა,
სახლში შემოდის ძალითა.

2. მკუხეს ჭამენ, მწიფეს
არა, ეტანება დიდ პატარა.

3. თითები აქვს ფრჩხილი
არა, სიცივეში დაგვაქვს
თანა.

4. უმი რომ არის არ ჭამენ,
მოხარშულს კი
გადააგდებენ.

შ. ტალახაძე.



## გამოცანები

1. თავდასაცავად ჯავშანი
გარს მქონდა შემორტყმული,
გატეხეს თეთრი კედელი
და გამომიღეს გული,
ხან შემწვეს, ხან კი მომხარშეს
დამიდგა აღსასრული.

2. ჩემი სახელის სათქმელად
სულ ხუთი ბგერა კმარაო,
ის უძლეველი შეიქმნა,
ვინაც მე შემიყვარაო.

3. თეთრი ფრინველი
მოფრინდა,
დატოვა შავი გალია,
პირველად დაჯდა მიწაზე
და სული მალე დალია.

გ. ლეჟავა.

## პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

**თარაზულად:** 2. პარამეტრი; 8. ვარძია; 9. იბსენი; 12. არია; 13. გენია; 15. სანა; 18. მედალი; 19. ფეიჰოა; 20. რუბენსი; 21. იდილია; 23. შანხაი; 25. რაფა; 26. აქატი; 29. ეტნა; 32. სტროფი; 33. რასტრი; 34. კონვენცია;

**შვეულად:** 1. კაბარე; 3. დევიზი; 4. ანძა; 5. რასა; 6. ვალიზა; 7. ანბანი; 10. კალენდარი; 11. მაკონამაი; 14. ნერეიდა; 26. გირაო; 17. აფიშა; 22. ლაფეტი; 24. ნატურა; 27. ქლიავი; 28. ტარანი; 30. ფოსო; 31. ასლი.

### გამოცანები

1. ხახვი; 2. კომბოსტო; 3. წისქვილი; 4. მორიელი.

### ამოცანა

4000 და 4900 კგ.




6 34/112

ИНДЕКС 76157